# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 1 აპრილი 2005 №71 (2394) ფასი 50 თეთრი




## თქვენ მე კარგად ჯერაც არ მიცნობთ

ინტერვიუ ალენ ჟირესთან

3



## ნაოპერაციევი აკაკი დევაძე

3

# მიშელ პლატინის ქართული დღიური



ორიოდე დღით თბილისს უცნობილესი ფრანგი ფეხბურთელი, მიშელ პლატინი სტუმრობდა. გუშინაც მეტად გადატვირთული დღე ჰქონდა: ეს პრესკონფერენციაო, ესეც ალენ ჟირესთან ტანდემში გრეხეტბოლიო, ბოლოს კი მიშელ პლატინი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ბადრი პატარკაციშვილს ეწვია. მასპინძელმა სტუმარს სეოკ-ის სამახსოვრო მედალი გადასცა, ალბათ ავანსად, როგორც უეფას მომავალ პრეზიდენტს...

ჰოდა, ისე როგორ იქნებოდა, ბადრი პატარკაციშვილს პლატინი და ჟირესი უვახშმოდ დაეტოვებინა. არც დაუტოვებია, დანარჩენს კი მომდევნო გვერდებზე და ხვალინდელ „სარბიელში" იხილავთ.



## ხვალინდელ სარბიელში

- ალექსანდრე ჩივაძე და დავით ყიფიანი მსოფლიოს მასშტაბის ფეხბურთელები იყვნენ. ვამაყობ, რომ ჩივაძე ჩემი მეგობარია...
- საფრანგეთის დიდი ნაკრების ყველაზე დიდი ფეხბურთელი ბერნარ ჟენგინი იყო...
- ადროვეთ ალენ ჟირესს და საქართველოს ნაკრები წარმატებას მიაღწევს...
- ფეხბურთი ყველას! — ასეთია ჩემი დევიზი...
- მარადონა დიდი და უცნაურია...
- ბორდო და შებოლილი სულგუნი...

*კობა ინასარიძის ექსკლუზიური ინტერვიუ ლეგენდარულ მიშელ პლატინისთან*










# პლატინი და ხალისი

## ჟიჟი, შენ მოიგებ!

დღესდღეობით ჩემთვის უეფას პრეზიდენტობაზე უფრო რეალური ისაა, რომ საქართველოში ხშირ-ხშირად ჩამოსვლას ვაპირებ — თქვა მიშელ პლატინიმ, ფიფასა და უეფას აღმასკომების წევრმა, უეფას პრეზიდენტობის კანდიდატმა, ლეგენდარულმა ფრანგმა ფეხბურთელმა...

საქართველო — თურქეთის გუშინწინდელ მატჩზე ნასტუმრევ მიშელ პლატინის გუშინ საკმაოდ დატვირთული დღე ჰქონდა: მოინახულა საფეხბურთო სკოლა „ოლიმპი", დაათვალიერა საქართველოს ნაკრების ბაზა და ფეხბურთის ფედერაციის ოფისი, შეხვდა ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ბადრი პატარკაციშვილს და... სპორტის აკადემიის კორტზე ცვრით წადებული გრეხეტბოლის თამაშიც მოასწრო. მისი პარტნიორი საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ალენ ჟირესი იყო, მეტოქეები — რეზო და არჩილ არველაძეები. ფრანგულმა დუეტმა იმარჯვა, პატივცემულმა სტუმარმა კი ბევრი იხალისა და ერთი-ორჯერ ბურთი ბადის იქით ისე გადააგდო, დამსწრეთ ძველი, გენიალური პლატინი მოაგონა.

„ჟიჟი" — ასე, ძმაკაცურად მიმართავდა ხოლმე პლატინი ალენ ჟირესს, ვინც ყოველი კაცუდებული გათამაშების შემდეგ არც თავის მხრივ აკლებდა „შენიშვნებს" მიშელს. მობურთალნი მერე ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიასაც მიუბრუნდნენ და თამაში სთხოვეს, მაგრამ ვერ დაიყოლიეს.

მოკლედ, მიშელ პლატინიმ ჟირესისა და ქართველების გვერდით გაილაღა და იქაურობა ისეთ ხასიათზე დატოვა, აღარ გაგვიკვირდება, აწი მართლაც ხშირ-ხშირად რომ გვესტუმროს.

— ბედნიერი ვარ თბილისში სტუმრობით. საქართველოში პირველად გახლავართ, თუმც კიდევ ბევრჯერ ჩამოვალ. აქ ჩემი მეგობარი ალენ ჟირესი მუშაობს და სწორედ მისგან ვიცოდი ქართული სტუმართმოყვარეობის შესახებ. ამ ორ დღეში ქართველები მეტ-ნაკლებად გავიცანი და დავრწმუნდი, რომ ჟირესი გადაჭარბებულს არაფერს მეუბნეოდა. რაკი ჟირესი საქართველოში მუშაობს, ესე იგი, მას აქაურობა მოსწონს, ხოლო რაც ჩემს მეგობარს მოსწონს, ის თავადაც მომწონს. გმადლობთ გულიანი მასპინძლობისთვის — ასე დაიწყო პრესკონფერენცია დიდმა მიშელ პლატინიმ.

— თურქეთთან ქართველების თამაშით მოხიბლული ვარო, ვერ ვიტყვი, თუმც ცუდადაც არ უთამაშიათ. მესმის ქართველი ქომაგების, ისინი მატჩის შემდეგ უზომოდ გაღიზიანებულნი, ლამის სასოწარკვეთილები იყვნენ, მაგრამ, მოდით, რეალობას თვალი გავუსწოროთ და ვთქვათ, რომ დღესდღეობით საბერძნეთსა და თურქეთს საქართველოზე ძლიერი გუნდები ჰყავთ, შედეგიც ამის შესაბამისია. ჩემი აზრით, საქართველო ყველაზე რთულ შესარჩევ ჯგუფში მოხვდა. დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთი ახალგაზრდაა, ახლა დგამს პირველ ნაბიჯებს, საბერძნეთი, თურქეთი და დანია კი, საკმაო ხანია, მაღალ დონეზე თამაშობენ. საქართველოს ნაკრების პოტენცია კარგად მენიშნა, ცოტაც და სასურველს თქვენც მიაღწევთ. თურქეთთან თამაშის შემდეგ დავრწმუნდი, რომ საქართველოს ერთ-ორ წელიწადში ახლანდელზე გაცილებით ძლიერი ნაკრები ეყოლება.

— საქართველოში აგიტაცია-პროპაგანდისთვის არ ჩამოვსულვარ, ჩემი ვიზიტი მეგობრულია და ახლა არც იმის დროა, უეფას საპრეზიდენტო პროგრამაზე ვისაუბრო. არჩევნებამდე თითქმის ორი წელია. როცა დრო იქნება, პროგრამას გამოვაქვეყნებ. დღეს კი მხოლოდ ამას გეტყვით: ფეხბურთი ლამაზი თამაშია და მსურს, ასეთივე დარჩეს.

— ალენ ჟირესზე ბევრს ვერ ვილაპარაკებ. ჩვენ დიდი ხნის მეგობრები ვართ და კარგად ვიცი, მისთვის ფეხბურთი რა არის. ფეხბურთი ალენის ცხოვრებაა და ცდილობს, რომ საქართველოს ნაკრებთან ერთად დიდ წარმატებას მიაღწიოს. ის ამას მიაღწევს

— საქართველოს პრეზიდენტსა და საგარეო საქმეთა მინისტრს შევხვდი. მიხეილ სააკაშვილმა დამარწმუნა, რომ მისი ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი ფეხბურთია. პრეზიდენტს ვუთხარი, უეფას პრეზიდენტობას ვაპირებ-მეთქი, მან კი წარმატება მისურვა.

— საფრანგეთის ნაკრებში ახლა განახლების პროცესია. მართალია, ჯერჯერობით საფრანგეთი მთლად წარმატებით ვერ თამაშობს, მაგრამ არა უშავს. ახლა შვეიცარიაში და ირლანდიაში გვულის მატჩები და ვიმედოვნებ, შედეგი საჩვენო იქნება. ისე კი, საფრანგეთი ახლა გაცილებით იოლ შესარჩევ ჯგუფში თამაშობს, ვიდრე საქართველო.

**კობა ინასარიძე**

**ბადრი კეთილაძის ფოტოები**







# ალენ ჟირესი: თქვენ მე კარგად ჯერაც არ მიცნობთ

26 და 30 მარტს საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა შინ საბერძნეთთან (1:3) და თურქეთთან (2:5) ნაგებით მუნდიალზე მოხვედრის პრაქტიკული შანსი მოისპო, მაგრამ გუნდის ფრანგი თავკაცი ალენ ჟირესი პოსტზე რჩება და მუშაობას განაგრძობს. გუშინ კი ჟირესმა გრეხეტბოლიც ითამაშა მეგობარ მიშელ პლატინისთან ერთად და ფეხშენებელურ მიღებაზეც გახლდათ, თუმც „სარბიელთან“ ინტერვიუსთვისაც მოიცალა...

**— საბერძნეთთან მატჩის შემდეგ ალენ ჟირესს ემჩნეოდა, რომ ასპროცენტიანი კონცენტრაცია დაკარგული ჰქონდა — ეთანხმებით ასეთ შეხედულებას?**

— თამაშის წაგებაში ჩემს წილ პასუხისმგებლობას არ გავურბივარ, მაგრამ ასეთ შეხედულებას არ ვიზიარებ. არ მესმის, რატომ უნდა დამეკარგა კონცენტრაცია?

**— მაგალითად, შოთა არველაძე საერთოდ არ შეიყვანეთ სათურქეთო განაცხადში — არ მიგაჩნიათ, რომ ეს გადაწყვეტილება გარკვეულწილად გულშემატკივართა ზეწოლის გამოც მიიღეთ?**

— არა, ასეთი რამ გამორიცხულია, მაყურებელთა რეაქცია აქ არაფერ შუაშია, გადაწყვეტილების მიღებისას გულშემატკივრებს არ ვუსმენ, მანიპულაციას ვერავინ და ვერაფერი გამიკეთებს. არველაძე იმიტომ არ ვათამაშე თურქეთთან, რომ საბერძნეთთან გამოჩნდა მისი არასათანადო ფიზიკური მომზადება.

**— არველაძე თუ ფორმაში არ იყო, ეს ვარჯიშებზე არ ჩანდა?**

— ვარჯიშზე ბევრი ისეთი რამ არ ჩანს, რაც მხოლოდ თამაშში შეიძლება გამოჩნდეს. არველაძის გარდა თურქეთთან კიდევ რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი არ ვათამაშე, რომლებმაც საბერძნეთთან ითამაშეს. მოკლედ, მხოლოდ არველაძე არ შემიცვლია. უკვე ერთი წელია, რაც საქართველოს ნაკრები ჩავიბარე და, როგორც ჩანს, ჯერ კარგად არ მიცნობთ.

**— თქვენ თუ იცნობთ იმ გარემოს კარგად, სადაც მუშაობა გიწევთ?**

— მე უფრო კარგად ვიცნობ აქაურობას, ვიდრე თქვენ მე.

**— რა შეგძინათ საბერძნეთთან და თურქეთთან მატჩებმა?**

— ის, რომ დიდი გზა არის გასავლელი, დიდი სამუშაო გველის. ნაკრების გარშემო მეტი სერიოზულობაა საჭირო.

**— სანაკრებო შეკრება არაიზოლირებულ გარემოში მიმდინარეობს, სასტუმროდან დღეში ორჯერ უწევს გუნდს ავტობუსით რამდენიმე ათეული კილომეტრის დაფარვა, რათა მინდორზე გავიდეს და ივარჯიშოს...**

— მალე ალბათ ნაკრების ბაზაზე გავივლით შეკრებას, ზემონახსენებ სერიოზულობაში ამასაც ვგულისხმობდი. ბაზაზე ჯერ მინდორი არ არის, მაგრამ იმედია, ეს საკითხი მალე მოგვარდება.

**— საბერძნეთთან და განსაკუთრებით თურქეთთან მატჩში საქართველოს ნაკრებს, ფაქტობრივად, არაფერი გამოუვიდა, ყველა კომპონენტში მეტოქეზე სუსტი აღმოჩნდა, ხოლო საბერძნეთთან გუნდის წამყვანმა ფეხბურთელებმაც — კახა კალაძემ, ლევან კობიაშვილმა და მალხაზ ასათიანმა — მოულოდნელად ერთობ უფერულად ითამაშეს — რატომ, რა მოხდა გუნდში?**

— შედეგი, კოლექტიური და ინდივიდუალური თამაში — თუ ყველაფერ ამას ანალიზს გავუკეთებთ, თურქეთთან უფრო უარესი ვითარება იყო. რაც შეეხება წამყვან ფეხბურთელებს, მეც მსურს, იგივე ვიკითხო — რატომ მოხდა ასე? როგორც ჩანს, მათაც აქვთ სუსტი წერტილები. საკუთარი გამოცდილებით კი იმის თქმა შემიძლია, რომ ხანდახან ვარჯიშებზე კარგად ვემზადებოდი ამა თუ იმ მატჩისთვის და ფსიქოლოგიურად თავს კარგად ვგრძნობდი, მაგრამ მატჩის დროს თამაში არ წამსვლია.

**— რაც საბერძნეთთან და თურქეთთან ვნახეთ, ეს საქართველოს ნაკრების რეალური სახეა?**

— თავს არ ვიმართლებ, მაგრამ იქით შეგეკითხებით: ჯგუფში მანამდე ნათამაშევ ოთხ მატჩში უფრო გამოჩნდა საქართველოს ნაკრების სახე თუ ბოლო ორ შეხვედრაში?

**— ფაქტია, თანამედროვე ფეხბურთში საერთო დონე გათანაბრდა და ერთი-ორი მატჩის კარგად თამაშს თითქმის ყველა გუნდი ახერხებს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში საქართველოს ნაკრებს ფეხი დაუცდა და მუნდიალზე მოხვედრის შანსი, ფაქტობრივად, დაკარგა...**

— ბოლო ორ შეხვედრაში იმ გუნდებს ვეთამაშეთ, ჩვენზე მკვეთრად მაღლა რომ დგანან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ წინა ოთხ თამაშში გუნდმა ცრუ სახე აჩვენა. ამ ორი გუნდის ნაცვლად ყაზახეთს რომ შევხვედროდით და ახლა რვა ქულა რომ გვქონდეს, სულ სხვა განწყობა და თვითრწმენა ექნებოდა გუნდს. ჩვენ ყველაზე ძნელ ჯგუფში გვიწევს თამაში და კალენდარიც ცუდი გვაქვს.

**— საქართველო მაღალი კლასის ფეხბურთელებით ღარიბია? ეს ადრეც გკითხეთ და მაშინ პირდაპირი პასუხი ვერ მივიღე. რას იტყვით დღეს? ახლა ისიც კარგად გამოჩნდა, რომ ახალგაზრდული ნაკრებიდან ჯერ არავინაა მზად ეროვნულში სათამაშოდ...**

— მაღალი კლასის ფეხბურთელები უნდა მოვძებნოთ, ხელს ხომ არ ჩავიქნევთ?! მაგრამ ისიც უნდა გვესმოდეს, რომ უცბად არაფერი გაკეთდება. საქართველოში უყვართ ფეხბურთი და ამიტომაც არის ამხელა აჟიოტაჟი. საქმისადმი მიდგომა და სიტუაცია უნდა შეიცვალოს, თუ რამ არ მუშაობს, ის უნდა შევაკეთოთ და ეს ყველამ ერთად უნდა გავაკეთოთ.

**დავით თავართქილაძე**

# აკაკი დევაძე: ურთულესი ოპერაცია უმძიმესი ტრავმის მერე

**ასეთი** მწარე კვირეული ქართულ ფეხბურთს ეგებ აქამდეც ჰქონია, მაგრამ ორ თამაშში 8 გოლი გაგვეშვას, პირველად მოხდა.

თითქოს თურქებისგან „მიძღვნილი“ 5 გოლი არ გვეყოფოდა, ნაკრების მეკარე აკაკი დევაძე გუშინწინ, შეიძლება ითქვას, სიკვდილს გადაურჩა.

21-ე წუთი იყო, ტაბლოზე 1:1 ენთო და ოსმალოთა გამთამაშებელი ილდირაი ბაშთურქი დევაძესთან პირისპირ გავიდა. კაკო კარიდან გამორბის, მაგრამ... თურქს სახით შეეჯახა და გონება დაკარგა — თამაშის გაგრძელებას ვინ ჩივის, კაკო მაშინვე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკურ საავადმყოფოში გააქანეს.

დიაგნოზი ასეთია: ყვრიმალის ძვლისა და რკალის დამსხვრევა. კაკოს სასწრაფო ოპერაცია გაუკეთა ყბა-სახის მოტეხილობის განყოფილების გამგე გიორგი ონიანმა. მისი თქმით, დევაძე ერთი კვირა იწვება საავადმყოფოში:

— ურთულესი ოპერაცია იყო. ეს არის ტრავმული ჰემისინუსიტი, ანუ ქვედა ყბის სახსრის მორჩის მოტეხილობა. შიგნიდან ათამდე ძვლოვანი ნაჭერის დალაგება დაგვჭირდა. ერთი თვის განმავლობაში აკაკის საკვების მიღება არ შეეძლება, მხოლოდ სითხით, [illegible] მილით უნდა იკვებოს".

ნაოპერაციევს აკაკი დევაძე [illegible] ვადმყოფოში ვინახულეთ — [illegible] ქალბატონი ლია, მეუღლე [illegible] და ბავშვების მეგობრები [illegible] დნენ თავს.

„ძალიან გაწვალდა, [illegible] თითქმის სამ საათს გაგრძელდა. [illegible] რეანიმაციაშიც [illegible] [illegible] რომ გამოვიდა, [illegible] მაინც „უჭირდა“ — [illegible] ბატონმა ლიამ.

ჩვენი დანახვისთანავე [illegible] დას გაეხარდა, [illegible] [illegible], რა განდა, [illegible] [illegible] ნახაე შენს [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] მერე კი [illegible] [illegible].

კაკოს ლაპარაკი ძალიან [illegible] და, ამიტომაც არ შევაწუხეთ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ფეხბურთელები [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

მერე „დევაძე“ [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

**ილია ნანობაშვილი**



ფეხბურთი
ფკ ამერის სკოლა
პირველი ლიგა
1 აპრილი
მეოცე ტური
ამერი — იმერია
თბილისი ხაშური
დასაწყისი 16 [illegible]
დასწრება უფასო
მის: თიანეთის გზატკეცილი
(გლდანულას გადასახვევი)
მატჩის მსვლელობა ონლაინ
საიტზე: www. feam[illegible]

# საქართველო სხვაგან...
## ფიფა სასჯელს ამზადებს



თქვენი დიდი ხათრი გვაქვს, მაგრამ სასჯელი არ აგცდებათ — დაახლოებით ასეთი შინაარსის წერილი მიიღო გუშინწინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ფიფადან.

სასჯელი, სავარაუდოდ, ფიფას სადისციპლინო კოდექსის 72-ე მუხლის შესაბამისად, ამ ორიდან ერთი იქნება: საქართველოს ნაკრები, ჯერ დაუდგენელია რამდენს, ოფიციალურ მატჩებს ნეიტრალურ ქვეყანაში გამართავს; უკეთეს შემთხვევაში — შინ ცარიელი ტრიბუნების წინ.

ფიფამ ფედერაციას მოსთხოვა, საბერძნეთთან და თურქეთთან მომხდარი ინციდენტების თაობაზე ახსნა-განმარტებითი ბარათები 48 საათის განმავლობაში მიაწოდოს.

*ვალერი ჩოლარია, ფედერაციის გენმდივანი:* „ფიფასგან სასჯელს უკვე შეგუებულნი ვართ. ახლა ისღა დაგვრჩენია, ვიფიქროთ, სტადიონის დისკვალიფიკაცია გვიჯობს თუ მატჩის ნეიტრალურ მოედანზე ჩატარება. ფიფასგან რაიმე კომპრომისი გამორიცხულია."

წერე და იკითხეო... ესმით კი ქართველ ლაწირაკებს და ბიჭბუჭობას, რომ მოედანზე სხვადასხვა საგნების სროლა არ შეიძლება?! ეს უკულტურობა, უნამუსობა და... დანაშაულიც არის, რაც, ბუნებრივია, მკაცრად ისჯება. კითხვა სამართალდამცავებს — თუ არ შეგიძლიათ სტადიონებზე წესრიგის დაცვა, იქ რა გესაქმებათ?...

**ცნობისთვის: თურქეთთან მატჩზე 6 300 ბილეთი გაიყიდა, სტადიონი კი თითქმის სავსე იყო.**

**კობა ინასარიძე**

# geo_geo_fan@hotmail.com

ორმატჩიანი სერია, რომელშიც გულშემატკივართა უმრავლესობა ექვსი თუ არა, ოთხი ქულის აღების იმედად მაინც იყო, სავალალოდ დასრულდა. არც ერთი ქულა, ბოთლების წვიმა, სტადიონის დისკვალიფიკაციის უზარმაზარი ალბათობა და, რაც მთავარია, სრული იმედგაცრუება — საქართველოს ამის მეტი არაფერი მოუმკია.

გასაკვირი არც არის, რომ გულშემატკივართა წერილებიც, ჩვენს ფოსტაში რომ მოვიდა, იმ განწყობითაა დაწერილი, როგორიც ამ მატჩების მერე უნდა ჰქონდეს ადამიანს.

და ერთიც, აუცილებლად ჩავთვალეთ, ამ წერილებში გამოყენებული არაკორექტული სიტყვები, გასაგებ მიზეზთა გამო, რამდენადმე შეგვერბილებინა...

**KOTE75**: *ამას წინათ ერთ-ერთი მკითხველის წერილის გამო თქვენ გენერალურ მდივან ჩოლარიას დამცველად დაუდექით. ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. პრობლემა ქართულ ფეხბურთშია. უბრალოდ, მინდა, ამჟამად ფეხბურთის ფედერაციას და პირადად მერაბ ჟორდანიას დაუდგეთ ადვოკატად, რადგან მიმაჩნია, რომ იგი ქართულ ფეხბურთს ასამარებს. თუ ცოტათი მაინც დამარწმუნებთ საწინააღმდეგოში, ძალიან მადლობელი დაგრჩებით, რადგან ქართულ ფეხბურთზე გული ძალიან შემტკივა. ჩამოგითვლით რამდენიმე მიზეზს:*

*1. ბავშვთა ფეხბურთში ძალიან ცუდი მდგომარეობაა. აქ მარტო პირობები არ იგულისხმება. ფულის გამო ბინძური გარიგებები აქედანვე იღებს სათავეს. ხოლო შემდგომში ზრდასრულ ფეხბურთელს ფული სჭირდება გუნდში მოსახვედრად.*

*2. ფედერაცია ვერ უზრუნველყოფს სანაკრებო მატჩების ნორმალურად ორგანიზებას. კერძოდ, არ იცავს გულშემატკივართა უფლებებს. საბერძნეთთან თამაშზე „ლოკომოტივზე" ყველა კარი დაკეტილი იყო ორის გარდა. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ორი კარი ეყოფა 25 ათას ადამიანს ნორმალურად შესასვლელად, მაშინ იგი ან აზროვნების უნარსაა მოკლებული, ან გულშემატკივართა მტერია. მაგალითად, მე, რომელსაც ბილეთი მქონდა, ომით და ბრძოლით მომიხდა თამაშზე შეღწევა. თურქეთთან თამაშს რაც შეეხება, ცივილიზებული ფორმით შევედი, გამსინჯეს კიდევაც, რამე ხომ არ მქონდა, მაგრამ რად გინდა, თამაშის დაწყების მერე ათასობით უპილეთო უკონტროლოდ შემოუშვეს, რამაც შემდგომში გამოიწვია ბოთლების და სხვადასხვა საგნების სროლა.*

*3. ამას წინათ ანდრო აბაშიძე ფედერაციას დაუპირისპირდა. შემდეგ საქმე შეწყვიტა, არ მინდა, ქართულ ფეხბურთს კავნოო. მე ვფიქრობ, ფიფას მხრიდან დისკვალიფიკაცია შეიძლება სასარგებლოც იყოს, რადგან ქართული ფეხბურთი მკვდარია ან სიკვდილის პირასაა მისული. მკვდრის გაცოცხლება შეუძლებელია. ფეხბურთი ახლიდან უნდა აღორძინდეს საქართველოში. ეს ჟორდანიას ხელში შეუძლებელია. ეგ კიდევ თავისი ნებით არ გადადგება. ამიტომ ჯობია, რამდენიმე წელი ფიფადან მიკვეთილები ვიყოთ, თუ ამის სანაცვლოდ მივიღებთ მომავალში ნორმალურ ფეხბურთს. ჟორდანიას მოსაცილებლად ყველაფერზე უნდა წავიდეთ. მის ხელში ქართულ ფეხბურთს არაფერი კარგი არ უნერია.*

*სხვა ბევრის თქმაც შემიძლია, მაგრამ ყველაფერს წერილში ვერ დავწერ. მადლობთ.*

თავდაპირველად ვალერი ჩოლარიას ადვოკატობაზე მოგახსენებთ. ამ რამდენიმე დღის წინ ერთი წერილის პასუხად ვთქვი, საქმის კარგად საკეთებლად სულაც არ არის აუცილებელი, ჩოლარია თავანკარა ქართულით ლაპარაკობდეს-მეთქი. ხოლო იმის თაობაზე, ბატონი ჩოლარია კარგად მუშაობს თუ ცუდად, არაფერი მითქვამს. kote75-ის სხვა მოსაზრებების თაობაზე კი მოგახსენებთ: როცა წლიდან წლამდე ფედერაცია ვერ ახერხებს ისეთი უმნიშვნელო საკითხის მოგვარებასაც კი, როგორიც სტადიონზე ჭიშკრების გაღებაა, დიდი ეჭვი მაქვს, რომ მნიშვნელოვან საკითხებს მით უფრო ვერაფერს მოუხერხებს.

დანარჩენ წერილებს კი უკომენტაროდ შემოგთავაზებთ, მიუხედავად იმისა, მათში გამოთქმულ რომელ მოსაზრებას ვეთანხმები და რომელს არა.

**SIMPATIAGA BOY**: *კაი ხანია, აღარ მომიწერია, მაგრამ ეხლა გადავწყვიტე მომეწერა. საბერძნეთს აღარ შევეხები, იმიტომ, რომ რაც იყო, ყველამ ნახა, მაგრამ გუშინდელი თამაში ალბათ ჩემი და არა მარტო ჩემი აზრით, ქართული ფეხბურთის საბოლოო დასამარება იყო.*

*არა რა, ქართველი კაცის მენტალიტეტი არასდროს შეიცვლება. თან არც არაფერი ეშველება ქართულ ფეხბურთს აქედან გამომდინარე. რა ჟირესი, რის ჟირესი, მაგაზე კარგად ფეხბურთი ბებიაჩემს ესმის. იცით, რატომ დანიშნეს ჟირესი? პლატინიმ უთხრა ჟორდანიას, იმან კიდევ ხათრი ვერ გაუტეხა, ფიფას პრეზიდენტობას აპირებს და საჭირო კაცია. ისევ ჟორდანიას დასჭირდება თავისი ბოროტი ამბიციების დასაკმაყოფილებლად.*

*ანდა მარტო შოთას რომ დააბრალეს წაგება და მთელი სტადიონი მას აყენებდა შეურაცხყოფას, ეგ რა კაცობაა?! ის დაავიწყდათ, ვინ არის ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი?! ანუ ვის გაუხარებია გულშემატკივრები ყველაზე მეტჯერ. ანდა, გუშინ რაც მოხდა, ეგ რა კაცობა იყო, თურქებს რას ერჩოდნენ, ჩამოვიდნენ, მოგვიგეს კაცურად და წავიდნენ. არა რა, ამ ნაკრებიდან ყველა გასაყრელია სახლში, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა.*

*აი, იცი რაზე მწყდება ყველაზე ძალიან გული, ამის დედა ვატირე, თავის კლუბში ყველა კარგად თამაშობს, „კობი", კალაძე, ასათიანი და აქ რა ჭირი ემართებათ?! აი, ეს უკვე სხვა საკითხია. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, თუ რა დონეზე არიან პატრიოტები და როგორ ანაღვლებთ ჩვენი გულშემატკივრების ბედიც და მთლიანად ქართული ფეხბურთისაც. ჰოდა, ეხლა როგორმე ვეცადოთ და ჟორდანიას და ჩოლარიას ბოროტი კლანი მოვიცილოთ თავიდან, თორემ უკვე მორჩა, უფსკრულის ფსკერზე ვართ და კაი ხანი ველარც ამოვალთ იქედან.*

*ხალხო, შევერთდეთ და ყველამ ერთად ვაიძულოთ, მოშორდნენ აქაურობას და დაგვიბრუნდეს ქართველ გულშემატკივრებს მისი აღმატებულება ფეხბურთი, ძირს ჟორდანიასნაირი საქართველოს მტრები!*

**LGOGOLADZE**: *რომელმა მწვრთნელმა თქვა, რომ ერთ ქართველზე თორმეტი თურქი მოდიოდაო?! ეგეთი ჟამთააღმწერები რომ გვყავდა, იმიტოა ჩვენი საქმე ასე კარგად დღეს. გადაგვიარეს ბოლომდე.*

**KAKICH**: *ქართველები არ ვართ მუნდიალზე თამაშის ღირსები. ჩვენ არ ვიცით, რა არის გულშემატკივრობა, რაც თურქებმა მართლაც დაგვანახეს. იმის ნაცვლად, რომ გადაგვეყვირა მათი შეძახილები, მთელი სტადიონი დედას აგინებდა თურქ ქომაგებს. ჩვენ არ ვიცით სტუმრის პატივისცემა, როდესაც სტუმარი გუნდის ქომაგებს მატჩის ბოლოს ქვებს და ბოთლებს დავუშენთ. მე რომ მკითხო, ეგ ბოთლები ყველა მსროლელს უნდა გაურჭო და ისე გაუშვა სტადიონიდან. და ერთსაც დავამატებ, ჩემი აზრით, ჟირესი ცდება ფეხბურთელების შერჩევაში. გუშინ რამდენიმე ფეხბურთელს მატჩამდე ეტყობოდა, რომ წაგებას შეგუებული იყო.*

*გუშინ ჩვენი ნაკრების ლიდერებმა ისეთი ფეხბურთი ითამაშეს, რომ ასე თუ ითამაშებენ თავიანთ კლუბებში, ალბათ, ძირითადში ველარ მოხვდებიან ვერასდროს. „ფრაიბურგის" ქართველებს კი ვურჩევდი, რომ კლუბის გამოცვლაზე იფიქრონ, რადგან მათი გუნდის ბოლო ადგილი მათზე ცუდად მოქმედებს. ჰოდა, ერთსაც დავამატებ, ჟირესი იმის გამო თუ დანიშნეს ნაკრების მწვრთნელად, რომ პლატინის ძმაკაცია, ისიც ცოდოა მაშინ, რომ ამხელა პასუხისმგებლობა აკიდეს მხარზე და ჩვენც ცოდოები ვართ, ნამდვილი გულშემატკივრები, რომ იმედები ჩაგვისახეთ მუნდიალზე მოსახვედრად.*

*და სულ ცოტასაც კიდევ მივაწერ. დღეს რომ გავიღვიძე, ორი ამბავი გავიგე — ერთი კაი, მეორე ცუდი. კარგი ის არის, რომ უკრაინის ნაკრები თავისი შეუპოვრობით მიდის დასახული მიზნისკენ და ალბათ გერმანიის მუნდიალზეც ითამაშებს, ცუდი ამბავი კი ის არის, რომ ალბათ დანია ვერ მოხვდება გერმანიაში, რამიც დამნაშავენი თვითონ არიან. ეხლა თითოეულმა დანიელმა ფეხბურთელმა უნდა აიღოს ორი აგური და თავში ირტყას და თან თქვას, ქართველებს როგორ ვერ მოვუგეთო და თანაც იმედები ჩავუსახეთ ნათელ მომავალზე.*

**WEB-ოსტატი ბუარა**

geo_geo_fan@hotmail.com

# რეპორტაჟი ცხელი წერტილიდან



[illegible] კორინთელის ფოტო

**90 წუთი** გავატარე მოედანზე, თურქთა კარის უკან და რა „საამო“ სანახავია, ქვემოდან რომ შეჰყურებ, როგორ მოფრინავს გინება და შეგინებული, დაჭმუჭნული საქართველოს დროშები.

...პირველ ტაიმში რუსთუს ჯერ სინჯარის მაგვარი რაღაც ესროლეს და ააცილეს, მერე სანთებელა გადმოვარდა და ისიც ასცდა მიზანს. ტაბლოსქვეშა ტრიბუნაზე ცუდი მსროლელები ისხდნენ.

...სათადარიგოებში მჯდარი ბიულენთ ქორქმაზი უმით ოზათის შეცდომამ ისე გაახელა, რომ წამოუხტა და უყვირა.

...ამის შემდეგ მიკროკონფლიქტი მოხდა ემრესა და ერსუნ იანალს შორის.

...პირველი ტაიმის დასრულებისთანავე დასავლეთ ტრიბუნაზე, თურქი გულშემატკივრების გვერდით სექტორში, გაშმაგებული, ყალბი ქართველი ქომაგები თავიანთ ნიჭს ამჟღავნებდნენ გულის ამრევი შეძახილით: „თურქებს რა...“ ეს არის ყალბქომაგთა ფანტაზიის მწვერვალი, მათვე დაუშინეს ბოთლები და რაღაც საგნები მშვიდობიან სტუმარ ფანებს. თურქთა ბედად, წვიმიანი ამინდი იყო და ზოგიერთები ქოლგებით მოსულიყვნენ. წვიმის მოსაგერიებლად წამოღებული ქოლგები ფარად გამოადგათ.

...ერთ-ერთმა პოლიციელმა კბილებში გამოსცრა, ეს ლაწირაკიმაიმუნი ვაი-ქართველები ნეტავ სათითაოდ მაცემინაო.

...მეორე ტაიმში ჩრდილოეთ ტრიბუნისკენ გადავინაცვლე. აი, აქ წამოვიდა ნაირგვარი საგნები. „ჩრდილოელებში“ უკეთესი მსროლელები აღმოაჩნდა.

...რუსთუს კართან კუთხურის ჩაწოდებამდე ჯერ უმით ოზათს მოარტყეს თავში რაღაც, წამის შემდეგ კი საჯარიმოში ჰამიტ ალტინტოპი დაეცა. შალკელს თავი გასტეხოდა და მის საშველად გამოსულ ექიმებს ბლომად ბამბა-სახვევიოდი დასჭირდათ ჭრილობის მოსაშუშებლად.

...საწყალი ბავშვები, რომლებიც ბოთლებისა თუ დაჭმუჭნული ქაღალდის დროშების მოედნიდან გამოტანით დაიქანცნენ.

...ხანდახან მათ რუსთუც ეხმარებოდა. თურქმა მეკარემ არ დაიზარა, რამდენჯერმე მის გვერდით დაცემული საგანი აიღო და მოისროლა.

...ამასობაში ფიფას დელეგატმა დავთრით ჩამოიარა რუსთუს კარის უკან და დაოვალიერების შედეგები ფურცელზე ჩაწიკწიკა. დელეგატი დაჟინებით უყურებდა ვილაცის ნასროლ „ჩუპა-ჩუპსს“, მაგრამ ნივთმტკიცებისთვის ქართველის ნალოკი ტკბილეული არ წაუღია.

...ტაბლოზე 90-ე წუთი ენთო. ფენერბაჰჩელმა თუნჯაიმ მეხუთე გოლი გაიტანა და მეც გასასვლელისკენ დავიძარი. იამაში სრულდებოდა, ქართველები უტევდნენ და თუნჯაი მოედნის ცენტრში, კიდესთან გაჩერდა. ბურთი იბრაჰიმ ტოროზმანს მიუვიდა, რომელსაც ფენერელმა დაუძახა, მარტო ვარ, მომაწოდეო. ამ დროს ბადესთან მდგომმა მავანმა სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა ქართველმა თუნჯაის აზერბაიჯანულად შეაგინა. თურქმა ფეხბურთელმა გინებაზე მოიხედა და სამხედროს ხურდა დაუბრუნა.

...მატჩის დასრულების შემდეგ თურქი გულშემატკივრები თითქმის კიდევ ერთი ტაიმი ისხდნენ ტრიბუნაზე, სანამ ქართველები „მიხეილ მესხის“ შემოგარენს გაეცლებოდნენ. მიუხედავად ამისა, ერთი ჯგუფი ცუდი ქართველებისა მაინც ჩაუსაფრდა ოსმალოებს და თავდასხმა სცადა. საქმეში სპეცრაზმელები ჩაერივნენ და ცუდები მოიგერიეს. რამდენიმე კაცი დაშავდა და საექიმო გახდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი
## ჩვენი მეტოქეები

**უკრაინა 1:0 დანია**

**1:0** ვორონინი (68)

**უკრაინა:** შოვკოვსკი, ნესმაჩნი, სვიდერსკი, ტიმოშჩუკი, ეზერსკი, რუსოლი, კოსირინი (ბელიკი 60; რადჩენკო 83), გუსევი, ვორონინი (მატიუხინი 90), ვორობეი, გუსინი

**მწვრთნელი:** ოლეგ ბლოხინი

**დანია:** სორენსენი, პოულსენი, პრისკე, კროლდრუპი, ნ. იენსენი (მიოლერი 70), ჰელვეგი, გრავესენი, გრონკიაერი, ტომასონი, იორგენსენი (კ. იენსენი 84), რომედალი (სილბერბაუერი 75)

**მწვრთნელი:** მორტენ ოლსენი

**გაფრთხილება:** ტიმოშჩუკი, გრავესენი, კროლდრუპი, პრისკე, სვიდერსკი, სორენსენი, ჰელვეგი

**მსაჯი:** ლ. მიხელი (სლოვაკეთი)

60 000 მაყურებელი



უკრაინელებს გუნდის კაპიტანი ანდრეი შევჩენკო და ქვეყნის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკოც ქომაგობდნენ

## დინამიტი ვორონინმა ააფეთქა

**ამ მოგებით** უკრაინა ჯგუფიდან გასვლის უმთავრეს პრეტენდენტად იქცა. მართალია, ოლეგ ბლოხინის გუნდს აქამდეც მოიხსენიებდნენ ფავორიტთა შორის, მაგრამ ახლა ცოტათი სხვაგვარი სიტუაციაა — უკრაინელებს პირველ ადგილს ალბათ ვეღარავინ წაართმევს.

ისე კი, ეს სამი ქულა უკრაინელებისთვის არავის უჩუქებია. პირიქით, დანიელებს იმდენი და ისეთი საგოლე მომენტები ჰქონდათ...

იორგენსენს (ორჯერ), გრავესენს, რომედალს და პრისკეს პირველივე 45 წუთში შეეძლოთ საქმის მომთავრება. უკრაინელი ჟურნალისტებიც ალალად აღიარებენ — პირველი ტაიმი 0:0 რომ დამთავრდა, ნამდვილი სასწაული იყო.

ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ ფაქტია: შესვენების მერე „დინამიტებმა“ უკან დაიხიეს და ბურთზე კონტროლი დაკარგეს, რამაც უკრაინელებს ფრთები შეასხა.

ბლოხინის გუნდმა ტემპი გაზარდა და სახიფათო მომენტებმაც ახლა უკვე დანიელთა კართან იმატა. 67-ე წუთზე ვორონინს გაუცუდდა დარტყმა, თუმც ერთ წუთში იმავ ვორონინმა მატჩის გმირობა ითავა — გუსევის მიერ დარტყმული და ძელიდან ასხლეტილი ბურთი სწორედ მას მიუვიდა და... სორენსენმა ვორონინის დარტყმულს თითები კი წაატანა, მაგრამ გუნდი მაინც [illegible] გადაარჩინა — 1:0.

*ოლეგ ბლოხინი:* „[illegible] ჭებს. თამაში რა კომენტარი [illegible] კეთო? შეხედეთ ტაბლოს და [illegible] ურნირო ცხრილს და [illegible] თავადვე ნახავთ. მიხარია, რომ [illegible] ეს ანდრეი შევჩენკოც [illegible] და გვქომაგობდა“.

*მორტენ ოლსენი:* „[illegible] შედეგით უკმაყოფილო [illegible] ტაიმში ძალიან კარგად [illegible] მაგრამ მერე მეტოქემ თამაში [illegible] თანაბრა და სახიფათო მომენტებ[illegible] იც შექმნა. ვულოცავ უკრაინელებს მოგებას“.

**კახა შალამბერიძე**

## ევროპას ჩემპიონი უბრუნდება

**საბერძნეთი 2:0 ალბანეთი**

**1:0** ხარისტიასი (33), **2:0** კარაგუნისი (85)

**საბერძნეთი:** ნიკოპოლიდისი, გუმასი, სეიტარიდისი, კირიაკოსი, ბასინასი, კაცურანისი, ზაგორაკისი, იანაკოპულოსი (ამანატიდისი 87), ვრიზასი (გეკასი 89), ხარისტიასი, კარაგუნისი

**მწვრთნელი:** ოტო რეჰაგელი

**ალბანეთი:** ლიკა, გ. ბეჩირი, ჩანა, დურო (დალკუ 84), ჰასი, ლალა, ლიჩი, მუკაი (რაკლი 46), ოსმანი, შკელა, ბოგდანი (ტარე 65)

**მწვრთნელი:** ჰანს-პეტერ ბრიგელი

**„გახსოვდეთ,** ჩვენ ევროპის ჩემპიონები ვართ“ — ასეთი იყო ბერძნული მასმედიის გამოძახილი ჯერ საქართველოსთან, მერე კი ალბანეთთან მატჩების შემდეგ.

მართლაც, ოტო რეჰაგელის ბიჭებმა უხეიროდ დაწყებულ შესარჩევ ციკლს მიჯრით ოთხი მოგება შეუნაცვლეს და ჯგუფში მეორე ადგილზე გამაგრდნენ.

ბერძნებმა ჰანს-პეტერ ბრიგელის „არწივები“ იოლად ჩააზრამუნეს. პირველივე წუთებიდან საჯარიმოში შეყუჟულ სტუმრებს კარის დიდხანს შენახვა არ ეწერათ და სანამ ანგელოს ხარისტიასი ანგარიშს გახსნიდა, ალბანელთა ხარიხა ორჯერ შეზანზარდა — კოსტას კაცურანისისა და ზისის ვრიზასის თავურების შემდეგ.

ხარისტიასმა კი ახლავე თავით გაიტანა ანგელოს ბასინასის კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი.

მეორე ტაიმში ალბანელები გამოფხიზლდნენ, მაგრამ თავდასხმაში ეულად მყოფმა ერიონ ბოგდანმა ორი მომენტი გააცუდა, მერე კი მის ნაცვლად შესულ ახმახ იგლი ტარეს შეეძლო გატანა...

ოტო რეჰაგელმა თბილისური შემადგენლობიდან მხოლოდ [illegible] ცი შეცვალა — [illegible] ის კაპსისის ნაცვლად [illegible] რენჯერსის“ მცველი [illegible] რიაკოსი დააყენა. ბერძნებმა [illegible] რე ტაიმის შუაწელიდან [illegible] იწყეს მომხდურთა დაწოლ[illegible] ლაზე მეტად იანაკოპულოს[illegible] იზასი აქტიურობდნენ, მაგრამ [illegible] თი გასატანი ინტერვალის [illegible] ის კარაგუნისმა გაიტანა [illegible] არიმოს მისადგომებიდან [illegible] დაჰკრა და ტაბლოზე 2:0 [illegible]

— ზუსტად ისე ვითამაშე[illegible] გორც საჭიროება მოითხოვდა [illegible] ლოსპელის გამოგონება [illegible] იწყო, ზედმეტი ნერვიულობის [illegible] რეზე ვთამაშობდით და [illegible] მატჩებსაც კარგ ხასიათზე [illegible] დებით“ — განაცხადა ნახევ[illegible] ოტო რეჰაგელმა.

კარაგუნისმაც კვერი დაუკრა [illegible] ფე ოტოს“: „ეს იყო თამაში [illegible] მინებაზე. გოლის გატანა [illegible] ნდებოდა, მაგრამ არ [illegible] ია. მთავარია, მოვიგეთ“.

ბერძნული ფანების [illegible] იცით — ტრიბუნაზე [illegible] თება და დამცავ ღობეზე [illegible] ალი მაგათ არ ესწავლებათ. [illegible] ოწინ კი ალბანელ ფეხბურთ[illegible] ბსაც აგინეს და პოლიციამ [illegible] ნიმე მათგანი დააკავა.

თუმცა ჩვენ ვისზე [illegible]

**ილია ნანობაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 7 | 5 | 2 | 0 | 12:3 | 17 |
| საბერძნეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 12:6 | 14 |
| თურქეთი | 7 | 3 | 3 | 1 | 13:7 | 12 |
| დანია | 7 | 2 | 3 | 2 | 10:7 | 9 |
| ალბანეთი | 7 | 2 | 0 | 5 | 3:14 | 6 |
| საქართველო | 6 | 1 | 2 | 3 | 8:13 | 5 |
| ყაზახეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 2:13 | 0 |



ალბანელები პირველად ანგელოს ხარისტიასმა დაამწუხრა

# ელ კლასიკოზე ნერვიულობენ

## ბარსელონას კაპიტანი დაშავებულია



კარლეს პუიოლი სამკურნალოა

**კატალონიურ** „ბარსელონას" 10 აპრილს მადრიდის „რეალის" წინააღმდეგ სავარაუდოდ, გუნდის კაპიტნის, კარლეს პუიოლის გარეშე მოუწევს თამაში.

26 წლის მცველი ესპანეთისა და სერბეთის ნაკრებთა შეხვედრაში დაშავდა დ ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენ ხანს გასტანს მისი სარეაბილიტაციო პერიოდი.

„პუიოლმა მარცხენა ფეხის ტრავმა მიიღო. მას რამდენიმე მყესიც დაუზიანდა. უფრო ნათლად ყველაფერი რამდენიმე დღეში გამოჩნდება, როცა გულმოდგინედ გამოვიკვლევთ, მაგრამ არა მგონია, მის მკურნალობას ორ კვირაზე ნაკლები დრო დასჭირდეს" — აღნიშნა „ბარსას" ექიმმა ლუის ტილმა.

თავად ფეხბურთელი და კლუბის უფროსობა ძალიან დამწუხრებულია. ისინი მხოლოდ მომავალ „ელ კლასიკოზე" ნერვიულობენ და იმედი აქვთ, რომ პუიოლი „რეალთან" მატჩამდე მომჯობინებას მოასწრებს, მაგრამ კატალონიელი მედიკოსები მაინცდამაინც ოპტიმისტურ პროგნოზს ვერ აკეთებენ.

ლუის ტილი: „როგორც ვთქვი, ამგვარი ტრავმების მოშუშებას თეორიულად, სულ მცირე 2-3 კვირა მაინც სჭირდება. „რეალთან" მატჩამდე კი მხოლოდ 10 დღეა დარჩენილი... თუმც ყველა ფეხბურთელი და ადამიანი ინდივიდუალურია, შესაბამისად სარეაბილიტაციო პერიოდიც სხვადასხვაგვარია".

**გიორგი ქაქაბაძე**

# უეფამ ჩელსი და მაურინიუ გააჩია

## პორტუგალიელი ბაიერნს ვერ ნახავს



**უეფას** სადისციპლინო კომიტეტმა „ჩელსის" საქმე გუშინ განიხილა და ლონდონური კლუბი 75 ათასი შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმა. ჟოზე მაურინიუს 20 ათასი ფრანკის გადახდა დაეკისრა და ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია არგუნა.

ეს კი ნიშნავს, რომ მაურინიუ ჩემპიონთა ლიგის ორივე მეოთხედფინალურ შეხვედრას „ბაიერნთან" ტრიბუნაზე გაატარებს. წესდების თანახმად, დასჯილ მწვრთნელს მატჩამდე და მატჩის შემდეგ ეკრძალება გასახდელში შესვლა და გუნდთან კონტაქტი.

„ჩელსის" წარმომადგენელმა ბრიუს ბაკმა — რომელიც განხილვას ესწრებოდა — თქვა: ცხადია, სასჯელი არ გაგვხარებია, მაგრამ ამ გადაწყვეტილებას ვემორჩილებით.

ლონდონურ კლუბს განაჩენის გასაჩივრება უახლოესი სამი დღის განმავლობაში შეუძლია.

**ვაჟა ხუციშვილი**



ჯანლუიჯი ბუფონი „იუვენტუსის" კარში კიდევ კარგა ხანს იდგება

# იუვენტუსმა რეალური ინტერესები დააცხრო

## ბუფონი და ძამბროტა ქალბატონთან რჩებიან

**ტურინის** „იუვენტუსის" ბანაკიდან კლუბის გულშემატკივრებმა გუშინ ორი სასიამოვნო და დამამშვიდებელი ამბავი შეიტყვეს.

კერძოდ, „ბებერი ქალბატონის" ხელმძღვანელობამ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ჯანლუიჯი ბუფონს არ ყიდის და ამის დასტურად მხარეები კონტრაქტს ახანგრძლივებენ. ჯანლუკა ძამბროტამ კი განაცხადა, „დელე ალპიზე" ბედნიერი ვარ და სხვა გრანდები წინადადებების შემოთავაზებით თავს ნუ შეიწუხებენო.

გავრცელებული ცნობით, ბუფონი „იუვესთან" 2010 წლამდე გააგრძელებს კონტრაქტს და შედარებით დიდ ჯამაგირს მიიღებს. შეგახსენებთ, რომ ამჟამად 27 წლის გოლკიპერის ხელფასი წელიწადში 3,2 მილიონი ევროა.

ეს ინფორმაცია ფაქტობრივად, უშანსოდ ტოვებს მადრიდის „რეალს", რომელსაც ბუფონის შეძენა ძალიან უნდა.

წინა კვირაში „სამეფო კლუბმა" ტურინელთათვის 22 მილიონი ევრო შეუთავაზებია, მაგრამ უშედეგოდ.

ასეა თუ ისე, „რეალი" იკერ კასილიასის შესაძლო შემცვლელის ძებნას მაინც განაგრძობს. როგორც ჩანს, ეს საქმე პირადად არიგო საკისევალება, რადგანაც მადრიდელთა სიაში ბუფონის შემდეგ მომავალი სამივე კანდიდატი იტალიური ფეხბურთიდანაა. პირველ რიგში, საუბარია საკის კარგ ნაცნობზე, „პარმას" გოლკიპერ სებასტიან ფრეიზე. „სამეფო კლუბი" თურმე „მილანისა" და „ჩელსის" სათადარიგო კარის დარაჯებს, კრისტიან აბიატისა და კარლო კუდიჩინისაც აკვირდება.

სათქმელია ისიც, რომ „რეალმა" „იუვეს" მეორე ფეხბურთელს, ჯანლუკა ძამბროტასაც დაადგა თვალი. ამ უკანასკნელით იცით, „ჩელსიცაა" ძალიან დაინტერესებული. ლონდონელები მზად არიან, გვარიანი თანხა გადაიხადონ, თუმც თავად ნახევარმცველს თუ დავუჯერებთ, იგი „დელე ალპიდან" ფეხის მოცვლას არ აპირებს.

ჯანლუკა ძამბროტა: „კლუბთან კონტრაქტი 2008 წლამდე მაქვს და მის ამოწურვამდე არსად წასვლას არ ვგეგმავ. ცხადია, სასიამოვნოა, გრანდების ჩემდამი ინტერესი, მაგრამ ტურინში ძალიან ბედნიერი და ყველაფრით კმაყოფილი ვარ. მინდა, აქ რაც შეიძლება, დიდხანს დავრჩე".

**გიორგი ქაქაბაძე**

# მადონინას მოლოდინში

## შევჩენკო მწყობრშია, ადრიანო...



„ინტერი" იმედოვნებს, რომ ადრიანო მალე დაბრუნდება

**საფეხბურთო** სამყარო ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალების მოლოდინშია, რომელიც, თქმა არ უნდა, ძალიან საინტერესო მატჩებს გვპირდება. თუმც „მილანისა" და „ინტერის" დაპირისპირება მაინც ყველასგან გამორჩეულია. ერთადერთი, რაც ამ შეხვედრას შედარებით პეწს აკარგვინებდა, ორივე გუნდის ლიდერების — ანდრეი შევჩენკოსა და ადრიანოს ტრავმები იყო.

ახლა კი შეიძლება, მადონინამ სრული ეშხი დაიბრუნოს. უკვე ცნობილია, რომ შევჩენკო მინდორზე დასაბრუნებლად მზადაა, ხოლო ადრიანოს ამბავი სათუოა, მაგრამ დიდი შანსია, მომჯობინება მანაც მოასწროს.

„ადრიანო ლიონში იყო, სადაც პროფესორ ჟან-მარსელ ფერეტის გაესინჯა. პროფესორის თქმით, ყველაფერი კარგად მიდის და შეიძლება, ადრიანომ კვირას ან ორშაბათს სირბილიც დაიწყოს. ეს კი იმის იმედს გვიტოვებს, რომ იგი „მილანის" წინააღმდეგ ითამაშებს" — განაცხადა „ინტერის" მთავარმა ექიმმა ფრანკო კომბიმ.

შეგახსენებთ, რომ ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ დაბრუნებული და თითქმის ძველებურად ათამაშებული ბრაზილიელი „ფიორენტინასთან" შეხვედრაში ისევ დაშავდა. პირველადი პროგნოზით, ადრიანოს მუხლის საკმაოდ დიდხანს დასჭირდებოდა მკურნალობა, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ ყველაფერი არც ისე სერიოზულად არის.

„ყოველივე უფრო მალე მოგვარდა, ვიდრე ველოდით. შეიძლება ითქვას, რომ ანდრეი ბოლომდე მომჯობინდა. ვფიქრობ, თუ იგი ამ უქმეებზე ითამაშებს, ეს ძალიან კარგი იქნება. თუმც „ინტერთან" შეხვედრაში შევჩენკო ნამდვილად შეძლებს მინდორზე გასვლას" — ეს კი „მილანის" ექიმ ჟან-პიერ მირსიმანის სიტყვებია.

სათქმელია ისიც, რომ უკრაინელის დარად, მოიოგი ტრავმა მოიშუშა „მილანის" მეორე ფორვარდმა ფილიპო ინძაგიმ. თუმც, არც ერთი მათგანი ჯერ მთელი 90 წუთის სათამაშოდ მზად არ არის. ვარაუდობენ, რომ „ბრეშასთან" შაბათის შეხვედრაში შევჩენკო და ინძაგი მოედანზე თითო ტაიმს გაატარებენ.

**გიორგი ქაქაბაძე**

# რუნი უკან გაიტანეს



**22 წლის** სტუდენტმა პატრიკ ჰანრაჰანმა მოგეხსენებათ, გასულ კვირას უეინ რუნის უჩივლა.

სტუდენტი ამტკიცებდა, რომ ღამის კლუბში იგი რუნის გაეხუმრა, სანაცვლოდ კი ფეხბურთელისგან სახეში მუშტი მიიღო.

გუშინ ჰანრაჰანმა სარჩელი უკან გაიტანა და მანჩესტერელი უეინ რუნის წინააღმდეგ აღძრული საქმეც ამიტომ შეწყდა.

„ჩვენ მოსარჩელემ გვაცნობა, რომ ფეხბურთელის საწინააღმდეგო არაფერი აქვს და განცხადება წაიღო. ამიტომ უეინ რუნის ბრალდება ავტომატურად მოეხსნა" — განაცხადა პოლიციის წარმომადგენელმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

# კასტელენის პირველი სანაკრებო

## მარტოხელა მიტია

I ჯგუფი

**ჰოლანდია 2:0 სომხეთი**

1:0 კასტელენი (3), 2:0 ვან ნისტელროი (34)

**სომხეთმა** მხოლოდ ორი გოლი გაუშვა ჰოლანდიისგან, მარკო ვან ბასტენი კი გუნდის ფორმით უკმაყოფილო იყო.

„ჩვენ კარგად დავიწყეთ და სწრაფად გავიტანეთ, მაგრამ ამის შემდეგ უნიათოდ ვითამაშეთ — თქვა მწვრთნელმა — ჩემს ფეხბურთელებს თავი არ დაუზოგავთ, თუმცა ეს არ იყო ჩვენი საუკეთესო თამაში. ზოგჯერ ყველაფერი ისე არ გამოდის, როგორც გვინდა. სივრცეებს სათანადოდ ვერ ვიყენებდით, რაც უნდა გამოვასწოროთ".

ისევე, როგორც რუმინეთთან, ჰოლანდიელებმა ანგარიში მალევე გახსნეს — რომეო კასტელენმა ახლოდან გაიტანა და ფეიენოორდელმაც პირველი სანაკრებო გოლი მიივალა.

ამის შემდეგ არმენ შახგელდიანმა საჯარიმოს გარედან დაჰკრა და ედვინ ვან დერ სარმა მოიგერია.

პირველი ტაიმის მიწურულს რუუდ ვან ნისტელროიმ მარკ ვან ბომელისგან პასი მიიღო, ბერეზოვსკის გასცდა და სხვაობა ორამდე გაზარდა.

მეორე ნახევარში ქორის მატიისენის დარტყმული ბურთი სომხებმა კარის ხაზიდან გამოიტანეს, ხოლო ჯოვანი ვან ბრონკჰორსტმა თავისი ცაციით ხარიხა შეაზანზარა.

**მაკედონია 1:2 რუმინეთი**

0:1 მიტეა (18), 1:1 მაზნოვი (31), 1:2 მიტეა (58)

**რუმინულმა** მედიამ ნაკრების მწვრთნელ ვიქტორ პიცურკას ნიკოლაე მიტიას მუდმივად ძირითად შემადგენლობაში თამაში მოსთხოვა, რადგან „აიაქსის" 20 წლის ფორვარდის წყვილი გოლით რუმინეთმა მაკედონია სტუმრად დაამარცხა.

„აღარ დასვა მიტია სათადარიგოებში!" — წერს გაზეთი „სპორტულიროლი", ხოლო „პროსპორტმა" პირველ გვერდზე აიაქსელი გამოჭიმა წარწერით — „მარტოხელა!"

ნიკოლაე მიტიამ პირველ ტაიმში ვიორელ მოლდოვანის პასით იხეირა, შესვენების შემდეგ კი თხუთმეტიოდ მეტრიდან დარტყმით გაიტანა.

„ახლა ბედნიერი ვარ — თქვა დუბლის შემსრულებელმა — ვიცი, რომ კარგად ვითამაშე და მალე „აიაქსშიც" ასე ავთამაშდები".

**ვაჟა ხუციშვილი**

**ანდორა 0:4 ჩეხეთი**

0:1 იანკულოვსკი (30პ), 0:2 ბაროში (39), 0:3 ლოკვენცი (52), 0:4 როსიცკი (90პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 6 | 5 | 1 | 0 | 14:3 | 16 |
| ჩეხეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 14:5 | 15 |
| რუმინეთი | 7 | 4 | 1 | 2 | 12:8 | 13 |
| ფინეთი | 6 | 3 | 0 | 3 | 13:10 | 9 |
| მაკედონია | 7 | 1 | 2 | 4 | 7:9 | 5 |
| სომხეთი | 7 | 1 | 1 | 5 | 4:15 | 4 |
| ანდორა | 7 | 1 | 1 | 5 | 3:17 | 4 |



გოოლ! — ეს ესაა, რომეო კასტელენმა მშობლიური ჰოლანდიისთვის გაიტანა



ესტონეთი — რუსეთი. ბალტიისპირელებმა სტუმრებს თავი შეაკლეს

# სკოლარიმ თავი შეინარჩუნა

## ფულიანი ფრე

III ჯგუფი

**ესტონეთი 1:1 რუსეთი**

0:1 აშრავინი (17), 1:1 ტერიოხოვი (62)

**თითოეულ** ესტონელ ფეხბურთელს რუსეთთან გამარჯვებისთვის 960 ევროს შეჰპირდნენ, მაგრამ მასპინძლებმა ვერ მოიგეს და ფრისთვის 320-320 ევრო მიიღეს.

ესტონეთის საელჩომ ბევრ რუს ქომაგს სხვადასხვა მიზეზის გამო ვიზა არ მისცა, მათ შორის მოსკოვის „სპარტაკის" ვეტერან ფეხბურთელებს, რომლებსაც ტალინში ამხანაგური მატჩი უნდა გაემართათ.

ტალინური გაზეთები აფრთხილებდნენ სტუმრებს, რომ არარსებული ქვეყნების დროშები არ ეფრიალებინათ ანუ საბჭოთა კავშირის ნამგალ-ჩაქუჩიანი ბაირაღები.

პირველ ტაიმში, რუსთა მეკარე იგორ აკინფეევი ფაქტობრივად, უსაქმოდ იყო, ანგარიში კი ანდრეი არშავინმა ცხრიანში გატანილი გოლით გახსნა.

სტუმრებმა მერე ოხრად საგოლე მომენტებიც გაანიავეს.

მეორე ნახევრის დასაწყისში მოედანზე სამი „გზააბნეული" ქომაგი შევარდა. ამის მერე რუსთა ფორვარდებს კიდევ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ ვერ იხეირეს, ხოლო აკინფეევს ტერეხოვმა ახლოდან გაუტანა, გაათანაბრა და თანაგუნდელები 320-320 ევროთი გაამდიდრა.

ნამატჩევს გეორგი იარცევს გადადგომის შესახებ ჰკითხეს, რაზეც მწვრთნელმა მიუგო, ჩემი წასვლა-დარჩენის საკითხს საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ გაარკვევენო.

**სლოვაკეთი 1:1 პორტუგალია**

1:0 კარჰანი (8პ), 1:1 პოსტიგა (62)

**ჯგუფის** ლიდერებმა ბრატისლავაში ქულები გაიყვეს და პორტუგალია ცხრილის თავში ისევ დარჩა. მათ მწვრთნელ ლუიშ ფელიპე სკოლარის ამ შეხვედრის წინ მხოლოდ მეკარის პრობლემა ჰქონდა და საბოლოოდ კარი მაინც რიკარდუს ანდო.

ბრაზილიელი მწვრთნელი ყველაზე მეტად ბუნდესლიგის ბომბარდირ მარეკ მინტალს უფრთხოდა, რომელმაც მერვე წუთზე პენალტი მოინადირა — მიროსლავ კარჰანის დარტყმულს რიკარდუ შესწვდა, ბურთმა კი კარის ხაზი ნელა, მაგრამ მაინც გადაკვეთა.

მოგვიანებით ხლოვაკების [illegible] ქე კონტრშეტევზე [illegible] ნემეტმა [illegible] რიკარდუმ ბურთი [illegible]

მეორე ტაიმში ლუიშ [illegible] სკოლარიმ [illegible] 57-ე წუთზე [illegible] და მანაც ხუთი წუთის შემდეგ [illegible] კარდუ კარვალიუმ [illegible] პოსტიგამ კი გაიტანა.

ნამატჩევს სლოვაკთა მწვრთნე[illegible] ლმა დუშან გალისმა თქვა [illegible] ქულა [illegible] თუმც ამჯერად [illegible] ვარ".

**ვაჟა ხუციშვილი**

**ლატვია 4:0 ლუქსემბურგი**

1:0 ბლეიდელისი (34), 2:0 ლაიზანსი (38პ), 3:0, 4:0 ვერპაკოვსკისი (72, 90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 6 | 4 | 2 | 0 | 21:4 | 14 |
| სლოვაკეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 18:5 | 14 |
| რუსეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 13:10 | 11 |
| ლატვია | 6 | 3 | 1 | 2 | 14:12 | 10 |
| ესტონეთი | 7 | 2 | 2 | 3 | 10:14 | 8 |
| ლიხტენშტაინი | 6 | 1 | 1 | 4 | 9:16 | 4 |
| ლუქსემბურგი | 7 | 0 | 0 | 7 | 4:28 | 0 |

V ჯგუფი

**მოლდოვა 0:0 ნორვეგია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 5 | 4 | 0 | 1 | 9:5 | 12 |
| ნორვეგია | 5 | 2 | 2 | 1 | 6:3 | 8 |
| სლოვენია | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 |
| ბელარუსი | 4 | 1 | 2 | 1 | 9:6 | 5 |
| შოტლანდია | 4 | 0 | 2 | 2 | 1:4 | 2 |
| მოლდოვა | 5 | 0 | 2 | 3 | 1:9 | 2 |

VIII ჯგუფი

**ხორვატია 3:0 მალტა**

1:0, 2:0 პრსო (24, 36), 3:0 ტუდორი (80)

**უნგრეთი 1:1 ბულგარეთი**

0:1 სტილიან პეტროვი (52), 1:1 რაისი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 5 | 4 | 1 | 0 | 13:2 | 13 |
| შვედეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 17:2 | 12 |
| ბულგარეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 10:8 | 8 |
| უნგრეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:9 | 7 |
| ისლანდია | 5 | 0 | 1 | 4 | 4:14 | 1 |
| მალტა | 5 | 0 | 1 | 4 | 1:16 | 1 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

ბიბლიოთ

## ავრაამის 43 011

IV ჯგუფი

**ისრაელი 1:1 საფრანგეთი**

0:1 ტრეზეგე (50), 1:1 ბადირი (83)

**ვალიდ ბადირის** გოლმა „რამათ განის" სტადიონზე ისრაელის ნაკრებს საფრანგეთთან შეხვედრა ფრედ დაამთავრებინა და მეოთხე შესარჩევი ჯგუფიდან მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის შანსი ფაქტობრივად, საყოველთაო გახადა.

ამ, მოვლენებით სავსე შეხვედრაში ანგარიში სტუმარმა დავიდ ტრეზეგემ გახსნა, მაგრამ შემდეგ, როდესაც ერთ-ერთ ეპიზოდში სარმას რქენით უპასუხა, წითელი ბარათი ამოუღეს და მოედნიდან გააძევეს.

ასე და ამგვარად, საფრანგეთს ამ ეტაპზე საქმე საკმაოდ უფეროლად აქვს — მსოფლიოსა და ევროპის ყოფილმა ჩემპიონებმა მიმდინარე შესარჩევ შეჯიბრებაში მხოლოდ კვიპროსთან და ფარერის კუნძულებთან მოახერხეს გამარჯვება.

გოლი, რომელიც დავიდ ტრეზეგემ ისრაელს გაუტანა, გახლდათ იუვენტუსელისთვის 31-ე, მის მიერ „ლურჯების" შემადგენლობაში ჩატარებული თამაშების რაოდენობა კი გახლავთ 58. ეს იმას ნიშნავს, რომ ახლა საფრანგეთის ნაკრების ისტორიაში, გატანილი გოლების რაოდენობით პირველ ადგილზე ისევ ლეგენდარული მიშელ პლატინია, მეორეზე კი სწორედ ტრეზეგე გახლავთ.

თელ ავივში, მატჩის დამთავრების შემდეგ ფრანგების მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა განაცხადა: „ანგარიშმა ძალიან გამაწბილა. მართალია, საკუთრივ ფეხბურთით ხარისხიანი ვითამაშეთ, მაგრამ გოლი მაინც გავუშვით და მერე აღარაფერი აღარ ვარგოდა. არადა, იმ გოლამდე ისრაელის ნაკრებს საერთოდ არაფერი შეუქმნია. მეორეს მხრივ, უნდა გავიგო დავიდ ტრეზეგეს გაძევების დროც, ვინაიდან ამ გაძევებამ მასპინძლებს შეტევაზე გადმოსვლისკენ უბიძგა."



AFP თელ ავივიდან

ისრაელი — საფრანგეთი. მსაჯ მარკუს მერკს ფეხბურთელთა დაშოშმინება ხშირად უხდებოდა

შეხვედრას სჯიდა ცნობილი მარკუს მერკი, რომელმაც პატრიკ ვიეირას წინააღმდეგ უხეშობისთვის ზემოხსენებული ბადირი გააფრთხილა, მანამდე კი ალუ დიარა ჰყავდა ყვითლითვე დასჯილი.

ყვითლების თემას პირდაპირ შეგვიძლია მივაბათ ფრანგთა ნახევარდაცვის, უფრო სწორად კი რაიმონ დომენეკის ტაქტიკის საკითხი. კერძოდ, დომენეკმა ისრაელის ნაკრებთან თამაში სამი ბურთის წამგლეჯი ნახევარმცველის, ვიეირას, დიარას და ბენუა პედრეტის ერთდროული გამოყვანით მასპინძელთა ფიზიკური სიძლიერისა და მობილურობის შიში გამოამჟღავნა და გადამეტებული ბრძოლა და შესაბამისი ყვითელი ბარათებიც ამის შედეგი უნდა იყოს.

პირველ ტაიმში სტუმრებს ორი რეალური საგოლე მომენტი ჰქონდათ — ჯერ ტრეზეგემ მიიღო უილიამ გალასის პასი, სამ მცველს მოხდენილად გაუმკლავდა და დაარტყა, მაგრამ ააცილა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი ვილტორდმა დასცხო ვილი სანიოლის ჩაწოდებულ ბურთს, ოღონდ მას მეკარე დუდუ ავატმა აუღო ჩინებულად.

მეორე ტაიმში, ტრეზეგეს გაძევების შემდეგ, მასპინძლები მართლაც გაყოჩაღდნენ და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს.

მატჩის შემდეგ, ისრაელის ნაკრების მწვრთნელმა, ავრაამ გრანტმა თქვა: „მადლობას ვუძღვნი ჩემს გუნდსა და 43 ათას მაყურებელს. მეამაყება, რომ მსოფლიოში რეიტინგით მეორე გუნდთან მოგებაც კი შეგვეძლო. დღევანდელი ფრე ჩინებულ შედეგად მიმაჩნია.

**პაპუნა ძედია**

**შვეიცარია 1:0 კვიპროსი**

1:0 ალექსანდრ ფრეი (88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 6 | 2 | 4 | 0 | 5:1 | 10 |
| ისრაელი | 6 | 4 | 2 | 0 | 8:6 | 10 |
| შვეიცარია | 5 | 2 | 3 | 0 | 10:3 | 9 |
| ირლანდია | 5 | 2 | 3 | 0 | 7:2 | 9 |
| კვიპროსი | 6 | 0 | 1 | 5 | 4:12 | 1 |
| ფარერები | 4 | 0 | 1 | 3 | 2:12 | 1 |

## გინდათ მოიგოთ თამაში? აულოკეთ ბექემს ბუცები

VI ჯგუფი

**ინგლისი 2:0 აზერბაიჯანი**

1:0 ჯერარდი (51), 2:0 ბექემი (62)

**ინგლისის** ნაკრებმა კი გვარიანი წვალებითა და ულამაზო თამაშით დაამარცხა აზერბაიჯანი: გოლები ნახევარმცველებმა, სტივენ ჯერარდმა და დევიდ ბექემმა გაიტანეს.

სამიოდე დღის წინ, პოლონეთმა რვა ბურთის სხვაობით დაამარცხა აზერბაიჯანელები, მაგრამ ინგლისს იმ საღამოს ფორმაში ვერ ჰყავდა მაიკლ ოუენი, რომელმაც თავდასხმას სული ვერ ჩაუდგა და მეორე ტაიმის დასაწყისში ნახევარმცველთა ზუსტი დარტყმები შეიქნა საჭირო.

ინგლისი ცუდად ირჯებოდა მეტოქის საჯარიმო მოედანში და თუმცა სვენ-გორან ერიკსონმა თქვა, 1:0-იც მოგებააო, თავდასხმას მეტი მონდომება მართებდა.

მოკლედ, „სენტ ჯეიმს პარკზე" აზერბაიჯანი დამცირებას ინგლისელთა თავდასხმის უვარგისობის გამო უფრო გადაურჩა.

თუმცა, აზერბაიჯანელთა ბრაზილიელმა მწვრთნელმა კარლოს ალბერტომ თამაშის წინ და მერეც მაინც გაახალისა ჟურნალისტები, როცა ოუენის შესახებ იკითხა: „ვინ არის ეს ჯუჯა? რა მოუგია ცხოვრებაში?"

კარლოს ალბერტოს იმიტომ უთქვამს ასე, რომ სადღაც წაუკითხავს, ოუენი დაიმუქრა, აზერბაიჯანს ხუთ გოლს გავუტანო.

ოუენმა ძალიან ცუდად ითამაშა, ერიკსონმა კი თქვა, მაიკლმა ასეთი რამეების ლაპარაკი არ იცის და ალბათ გაზეთებმა რაღაც აურიესო.

1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონთა კაპიტნის, აწ კი აზერბაიჯანელთა მწვრთნელის მთავარ საქმედ ინგლისში კი ოუენის კრიტიკა იქცა. ის 10-წუთიანი გამოსვლით გამოეპასუხა მაიკლს მატჩის შემდეგაც, აბა დაგვანახოს თავისი ხუთი გოლი მაგ არარაობამო.

ჭეშმარიტად არ ღირდა ამაზე ლაპარაკი, ოუენს მხოლოდ ის ეთქვა, მალკოლმ მაკდონალდის ხუთგოლა რეკორდის მოხსნა ყველას გაეხარდებაო. მაგრამ მწვრთნელს რაღაც ხომ უნდა ელაპარაკა.

„ეგ ვინ არის? ვინ არის?" — მაინც გაიძახოდა კარლოს ალბერტო, ბექემს უნდა ულოკოს ბუცები, რომ დღეს მოგებული ჰქვია.

**ირაკლი გამყრელიძე**

**ავსტრია 1:0 უელსი**

1:0 აუფჰაუზერი (87)

**პოლონეთი 1:0 ჩრდ. ირლანდია**

1:0 ჟურავსკი (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 6 | 5 | 1 | 0 | 13:3 | 16 |
| პოლონეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 19:5 | 15 |
| ავსტრია | 6 | 3 | 2 | 1 | 11:8 | 11 |
| ჩრდ. ირლანდია | 6 | 0 | 3 | 3 | 5:13 | 3 |
| უელსი | 6 | 0 | 2 | 4 | 5:11 | 2 |
| აზერბაიჯანი | 6 | 0 | 2 | 4 | 1:14 | 2 |

### 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აზია. II საკვალიფიკაციო წრე. III ტური

**A ჯგუფი**

**სამხრეთ კორეა 2:1 უზბეკეთი**

**ქუვეითი 0:0 საუდის არაბეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამხრეთ კორეა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| საუდის არაბეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 |
| ქუვეითი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| უზბეკეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |

**B ჯგუფი**

**ჩრდილოეთ კორეა 0:2 ირანი**

**იაპონია 1:0 ბაჰრეინი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირანი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| იაპონია | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ბაჰრეინი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ჩრდილოეთ კორეა | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | 0 |

### 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. კონკაკაფი. II საკვალიფიკაციო წრე. III ტური

**პანამა 1:0 მექსიკა**

**აშშ 2:0 გვატემალა**

**ტრინიდადი 0:0 კოსტარიკა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 7 |
| აშშ | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| გვატემალა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| კოსტა რიკა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| პანამა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ტრინიდადი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |

## არაგონესს რა?! არც ტაში და არც ქილიკი

VII ჯგუფი

**სერბეთი 0:0 ესპანეთი**

**ბელგრადული** მატჩის მოგება სტუმრებსაც შეეძლოთ და მასპინძლებსაც.

თუ მეორე ტაიმის დასაწყისში იკერ კასილიასთან პირისპირ გასულმა მატეა კეჟმანმა ბურთი კარის ძელს გაარტყა, ესპანელთა კაპიტანმა რაულმაც მოახერხა სერბების საჯარიმოში ჩვეულად დაბზრიალება, მაგრამ...

თამაში ლუის არაგონესის შეგირდთა იერიშებით დაიწყო. საერთოდ, ამ შეხვედრაში სენიორ არაგონესმა მეტოქეს სიურპრიზი შესთავაზა და რაულის ნაცვლად პირველსავე ტაიმში მოედანზე ჩაუქად მობურთავე ივან დე ლა პენიას მოუხმო — „ესპანიოლის" ნახევარმცველიც შუაში გამაგრდა, ხოლო მის წინ „პატარა მარაკანას" ფანებმა მადრიდის „ატლეტიკოს" ფერნანდო ტორესი იხილეს.

სასტარტო თერთმეტეულში ასევე იყვნენ არსენალელი რეიესი და ბეტისელი ხოაკინი, თუმც, მიუხედავად ამ შემტევი პოტენციალისა, ესპანელების პირველი სახიფათო მომენტი მცველმა ასიერ დელ ორნომ შექმნა — ბილბაოელმა საჯარიმოს გარედან დაარტყა, მაგრამ ბურთი მიზანს ოდნავ ასცდა.

კასტილიელები ამის შემდეგაც თავდაუზოგავად ცდილობდნენ სერბთა გატეხვას, მათ შორის გამორჩეულად მოწადინებული კი დე ლა პენია გახლდათ: „ესპანიოლის" მოთამაშემ დროული პასებით ფერნანდო ტორესი და სერხიო რამოსი მოამარაგა, თუმც კარის აღებამდე საქმე არ მისულა.

რა თქმა უნდა, არც სერბებს ეძინათ — პრედრაგ ჯორჯევიჩმა პირველი ტაიმის შუაში კეჟმანს გადააწოდა, მაგრამ ხელსაყრელ სიტუაციაში მყოფმა ჩელსელმაც ხეირიანად ვერ დაარტყა.

„რთული თამაში იყო. მეტოქემ ძლიერად იბურთავა, მოედნის საფარიც ცუდ მდგომარეობაში გახლდათ და ბიჭებმაც თავიანთი პოტენციალი ამიტომ ვერ გამოამჟღავნეს. მოგებას ვიმსახურებდით, თუმც ბელგრადში აღებული ქულა ურიგოდ ნამდვილად არ მიმაჩნია" — განაცხადა ნამატჩევს ლუის არაგონესმა, ესპანელთა დამრიგებელმა.

„მიუხედავად იმისა, რომ გოლი ვერ შევაგდეთ, არაგონესის ნაკრებს უნდილად ბურთაობას ვერ ვუსაყვედურებთ. გუნდმა წინა თამაშებთან შედარებით გაცილებით უკეთ იმოქმედა და ასეთი ორგანიზებით ალბათ გერმანიაში მოხვედრა არ უნდა გაგვიჭირდეს" — აწერა ესპანურ „მარკაში".

**ლადო ხომერიკი**

**ბოსნია 1:1 ლიტვა**

1:0 ელვირ ბოლიჩი (21), 1:1 სტანკევიჩიუსი (60)

**სან მარინო 1:2 ბელგია**

0:1 სიმონსი (19პ), 1:1 სელვა (41), 1:2 ვან ბუიტენი (64)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერბეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 10:0 | 11 |
| ესპანეთი | 5 | 2 | 3 | 0 | 8:1 | 9 |
| ლიტვა | 5 | 2 | 3 | 0 | 7:2 | 9 |
| ბელგია | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| ბოსნია | 4 | 0 | 3 | 1 | 3:6 | 3 |
| სან მარინო | 6 | 0 | 0 | 6 | 1:20 | 0 |



AFP ბელგრადიდან

სერბეთი — ესპანეთი. ხოაკინის (№17) ნაკრები შინ ქულით დაბრუნდა

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა. XIII ტური

# ფოსატის წყრომა

## რომ არა დიდა, ბრაზილიას დედა არ ეყოლებოდა



AFP მონტევიდეოდან

ურუგვაი — ბრაზილია. ემერსონის გოლს ბევრი მითქმა-მოთქმა მოჰყვა

**ურუგვაი 1:1 ბრაზილია**

1:0 დიეგო ფორლანი (49), 1:1 ემერსონი (68)

**ურუგვაი:** ვიერა, დიეგო ლოპესი, დიეგო ლუგანო, პაოლო მონტერო, დარიო როდრიგესი, პაბლო გარსია, კარლოს დიოგო (გონსალო დე ლოს სანტოსი 86), რუბენ ოლივერა (ჩევანტონი 73), მარიო რეგუერო (ხავიერ დელ გადო 58), დიეგო ფორლანი, მარსელო ზალაიეტა

**ბრაზილია:** დიდა, კაფუ, ლუიზაო, ლუსიო, რობერტო კარლოსი, ემერსონი, ზე რობერტო (რენატო 68), რონალდინიო, კაკა, რონალდო, რიკარდო ოლივეირა (რობინიო 64)

მსაჯი: ექტორ ბალდასი (არგენტინა)
60 000 მაყურებელი

**არგენტინა 1:0 კოლუმბია**

1:0 ერნან კრესპო (65)

**არგენტინა:** რობერტო აბონდანსიე, ხავიერ ძანეტი, რობერტო აიალა, გაბრიელ ჰეინცე, სორინი, მასკერანო (ლუჩიანო გალეტი 55), ლუის გონსალესი, რიკელმე, კამბიასო, კრესპო, სავიოლა (დიეგო პლასენტე 80)

**კოლუმბია:** კალერო, ოროსკო, კორდობა, იეპესი, ბედოია, ვიაფარა, ფაბიან ვარგასი, რესტრეპო (ვიქტორ პაჩეკო 80), ოვიედო, ჟოვანი ერნანდესი (ვივეროსი 46), პერეა (ხაირო კასტილიო 67)

გაძევება: ფაბიანო ვარგასი (46)
მსაჯი: კარლოს ამარილია (პარაგვაი)
50 000 მაყურებელი

**პარაგვაი 2:1 ჩილე**

1:0 გუსტავო მორინგო (36), 2:0 ხოსე კარდოსო (60), 2:1 ლუის ფუენტესი (73)

**პერუ 2:2 ეკვადორი**

1:0 პაულო გერერო (2), 1:1 ულისეს დე ლა კრუზი (3), 1:2 ანტონიო ვალენსია (45), 2:2 ჯეფერსონი ფარფანი (58)

**ბოლივია 3:1 ვენესუელა**

1:0 ალეხანდრო ჩიკერო (2ს.კ.), 2:0 ხოსე კასტილიო (26), 2:1 მალდონადო (71), 3:1 ხოსელიტო ვაკა (84)

**მეცამეტე** ტურმა ერთიან სამხრეთულ ჯგუფში ვითარება კიდევ უფრო ჩახლართა. ერთადერთი, არგენტინის ლიდერობა განმტკიცდა, დანარჩენისა კი რა გითხრათ — ამ ტურის მერე ბოლოადგილოსანს მეხუთე საპლეიოფო ადგილამდე მხოლოდ სამი ქულა აშორებს.

მთავარი მატჩი, ცხადია, ურუგვაი — ბრაზილია იყო და მოსალოდნელი შედეგით დასრულდა. ტურის ანონსში ვწერდით, რომ ბრაზილიას ურუგვაიში ოფიციალური მატჩი არასდროს მოუგია და ტრადიცია არც ამჯერად დაირღვა.

მეტიც, ურუგვაელთა მწვრთნელი ხორხე ფოსატი გულმოკლული დარჩა, როგორ ვერ მოვიგეთო: „მეტოქისთვის თოკი გვქონდა შემოჭერილი და მხოლოდ მსაჯის უხეში შეცდომის გამო ვერ მოვიგეთ. როცა მოგება გეკუთვნის და სხვისი შეცდომის გამო ვერ იგებ, ორმაგად გულდასაწყვეტია.“

ფოსატის წყრომა ემერსონის საპასუხო გოლმა გამოიწვია და როგორც იქაური მიმომხილველებიც ამბობენ, ბრაზილიელი თამაშგარეში იყო: ლუსიომ კუთხური ჩააწოდა, ლუიზაომ დაარტყა, მეკარემ მოიგერია და ემერსონმა დამატებაზე გაიტანა. ოფსაიდში კი ემერსონი ლუიზაოს დარტყმის მომენტში იყო.

ურუგვაელებმა კი მეკარე დიდას შეცდომით ისარგებლეს — რუბენ ოლივერას შორიდან დარტყმული მეკარემ ხელში ვერ შეიმაგრა და დიეგო ფორლანმა საგოლედ დაამატა.

მთლიანობაში თამაში მასპინძლებისა იყო და დიდას ბრწყინვალე სეივები რომ არა, ანგარიში პირველ ტაიმშივე სოლიდური იქნებოდა.

ბრაზილიელთა მწვრთნელი კარლოს ალბერტო პარეირა კი კმაყოფილი დარჩა: „ორივე გუნდი გამარჯვებისთვის იბრძოდა და ვფიქრობ, ეს ტურნირის საუკეთესო მატჩი იყო. განსაკუთრებით კი რონალდინიოს თამაშით დავრჩი კმაყოფილი, ის მართლაც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია.“

არგენტინას ძალიან კი გაუჭირდა კოლუმბიის დამარცხება, მაგრამ ერნან კრესპოს გოლით მაინც მოახერხა. საქმე ის გახლავთ, რომ კოლუმბიელები მხოლოდ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ და თერთმეტკაციანი დაცვის გარღვევა, მოგეხსენებათ, ურთულესი საქმეა.

„როგორც მოველოდი, ისე კარგად ვერ ვითამაშეთ — თქვა ნამატჩევს არგენტინელთა მწვრთნელმა ხოსე პეკერმანმა — მეტოქემ კარისკენ მიმავალი ყველა გზა საიმედოდ ჩაკეტა. გულახდილად გითხრათ, ვარგასის გაძევება ძალიან დაგვეხმარა.“

კოლუმბიელი ნახევარმცველი ფაბიან ვარგასი კი მსაჯმა ორი გაფრთხილებით გაისტუმრა.

ერთადერთი გოლი გითხარით, კრესპომ ხუან რომან რიკელმეს პასით გაიტანა ექვსი მეტრიდან.

გოლის გარდა არგენტინელებს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტიც ჰქონდათ, რომელთაგან რიკელმესი უნდა გამოვარჩიოთ — მან ბურთი ძელს გაარტყა. კიდევ რამდენიმე ეპიზოდში, კოლუმბიელთა მეკარე მიგელ კალერომ ითამაშა საიმედოდ. არგენტინელთა მეკარეს კი მხოლოდ ერთხელ მოუხდა მეტნაკლებად რთული ბურთის მოგერიება —თამაში ხომ სულ კოლუმბიელთა ნახევარზე მიდიოდა.

პარაგვაიმ, მწვრთნელის მატჩისწინა დაპირებისამებრ, ეკვადორისგან წინა ტურში ნაწვნევი მწარე მარცხი დაივიწყა და ჩილეს მოუგო.

მასპინძელთაგან პირველი გოლი მორინიგომ დამატებაზე გაიტანა, როცა ჩილელთა მეკარე ნელსონ ტაპიამ კარლოს გამარას თავური უხერხულად მოიგერია. მეორე გოლი ხოსე კარდოზომ შეაგდო, ვინაც მეურვეს მარჯვედ დაუსხლტა და ოდნავ მახვილი კუთხიდან დაარტყა. ჩილელთაგან ერთი საპასუხო ფუენტესმა გაიტანა.

ნამატჩევს დამარცხებულთა მწვრთნელმა ხუვენალ ოლმოსმა თქვა, დაკარგული ჯერ არაფერია, თუმცა ვითარება, ცხადია, გაგვირთულდაო.

მოგებულთა მწვრთნელმა ანიბალ რუისმა კი თქვა, მართალია, ერთი ბურთის სხვაობით მოვიგეთ, მაგრამ ახლა ამ გამარჯვების აღნიშვნის მეტი არაფერი მინდაო.

პერუმ ეკვადორის ძლევის საუკეთესო შანსი გაუშვა ხელიდან მატჩის 89-ე წუთზე. შეცვლაზე შესულმა ანდრეს მენდოსამ მეკარე ედვინ ვილაფუერტე ჩამოიტოვა და კარიდან ორ მეტრში მყოფმა აცილება როგორ მოახერხა, ალბათ, სამუდამოდ საიდუმლოდ დარჩება.

იქამდე კი მეტოქეებმა ორ-ორი გოლი გაუტანეს ერთმანეთს და პერუელთა იმედი, 1982 წლის მერე პირველად გააღწიონ მსოფლიოს ჩემპიონატზე, კვლავ ბუნდოვნად რჩება.

**კოტე კეკელია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 13 | 8 | 4 | 1 | 24:12 | 28 |
| ბრაზილია | 13 | 6 | 6 | 1 | 21:12 | 24 |
| ეკვადორი | 13 | 6 | 2 | 5 | 19:15 | 20 |
| პარაგვაი | 13 | 5 | 4 | 4 | 16:17 | 19 |
| ურუგვაი | 13 | 4 | 4 | 5 | 18:25 | 16 |
| კოლუმბია | 13 | 3 | 5 | 5 | 12:12 | 14 |
| პერუ | 13 | 3 | 5 | 5 | 15:16 | 14 |
| ჩილე | 13 | 3 | 5 | 5 | 12:14 | 14 |
| ვენესუელა | 13 | 4 | 2 | 7 | 14:20 | 14 |
| ბოლივია | 13 | 4 | 1 | 8 | 15:23 | 13 |

## ფეხბურთის რუკასთან

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდ ალან სმიტის აგენტმა ალექს ბლეკმა უარყო ხმები მისი კლიენტის „ნიუკასლში“ შესაძლო გადასვლის შესახებ. „ეს უბრალო ჭორებია, არანაირი მოლაპარაკება არ არსებობს. ალანს ყოველთვის მოსწონდა „მანჩესტერი“ და ძირითად შემადგენლობაში ადგილისთვის ბრძოლას გააგრძელებს“ — თქვა ბლეკმა.

**იტალიური** „ლაციოს“ ვეტერანი ფორვარდი პაოლო დი კანიო 6 იანვარს „რომასთან“ მატჩისას გახმაურებული ფაშისტური ჟესტის გამო 10 ათასი ევროთი დაჯარიმდა. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, დაისჯება თვითონ კლუბიც.

**ამერიკული** „დალასის“ ახალგაზრდა ფორვარდი ედი ჯონსონი რამდენიმე ევროპული კლუბის ყურადღების ცენტრში მოექცა. მათ შორის არიან „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „პსვ ეინდჰოვენი“. დიდი ხანია, ინგლისელები 21 წლის თავდამსხმელს აკვირდებიან, ხოლო ჰოლანდიელები მისით, ჯონსონის თანამემამულე დამარკუს ბესლის რეკომენდაციის შემდეგ დაინტერესდნენ.

**ინგლისური** „ლივერპულის“ თავკაცმა რაფაელ ბენიტესმა განაცხადა, შესაძლოა, ჯიბრილ სისე მიმდინარე სეზონშივე დაგვიბრუნდესო. „სარეაბილიტაციო პერიოდი დაჩქარებული ტემპებით მიდის. იგი უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს და ნელ-ნელა უფრო მეტი დატვირთვით“ — დასძინა ესპანელმა სპეციალისტმა.

**იტალიური** „მილანის“ ნახევარმცველ ანდრეა პირლოს მიაჩნია, რომ კიევოელი რობერტო ბარონიო მისი მშვენიერი შემცვლელი იქნება და მომავალ სეზონში კლუბმა აუცილებლად უნდა შეიძინოს. „მე მას კარგად ვიცნობ, რადგანაც „ბრეშაში“ ერთად გავიზარდეთ და ახალგაზრდულ ნაკრებშიც ვთამაშობდით. ის ძმასავით მიყვარს, თანაც ჩინებული ფეხბურთელია“ — განაცხადა პირლომ.

**ჰოლანდიური** „პსვ ეინდჰოვენის“ კაპიტანი მარკ ვან ბომელი „იუვენტუსის“ ყურადღების ცენტრშიც მოექცა. ჭორების თანახმად, ტურინელებს იგი ემერსონისთვის საუკეთესო მეწყვილედ მიაჩნიათ და ლუჩანო მოჯი ეცდება, ვან ბომელი ხელში ჩაიგდოს. შეგახსენებთ, რომ ამ ნახევარმცველის ყიდვა ძალიან უნდა „ბარსელონასაც“.

**ინგლისური** „არსენალის“ ნახევარმცველი ჯერმეინ პენანტი 31-დღიანი პატიმრობის შემდეგ სიტყვიერი გაფრთხილებით გაათავისუფლეს. შეგახსენებთ, იმის გამო, რომ ის მანქანა მთვრალი მართავდა, ორჯერ დააკავეს და სამთვიანი ციხეც მიუსაჯეს. ამჯერად პენანტმა პირობა დადო, ასეთი რამ აღარ განმეორდებაო. წინააღმდეგ შემთხვევაში სასჯელი ძალიან მკაცრი იქნება.

**იტალიური** „სამპდორიას“ ფორვარდ ფაბიო ბაცანის, რომელიც ამჟამად „ლაციოშია“ განათხოვრებული, რომში დარჩენა უნდა. „მართალია, ადაპტაცია ცოტა გამიჭირდა და ჯერ სათანადოდ ვერ ვთამაშობდი, მაგრამ მალე ყველაფერი გამოსწორდება. აქაურობას უკვე ძალიან შევეჩვიე და, იმედია, „ლაციოში“ დავრჩები“ — თქვა ბაცანიმ.

**გერმანულმა** „ვერდერმა“ „მიდლსბროს“ ჰოლანდიელ ლეგიონერ ბუდევინ ზენდენს დაადგა თვალი. „ჩვენ ნახევარდაცვის გაძლიერება გვინდა და არ უარვყოფთ, რომ ზენდენსაც ვაკვირდებით, იგი ჩინებული ფეხბურთელია“ — დასძინა ბრემენელთა სპორტულმა დირექტორმა კლაუს ალოფსმა.

**იტალიელი** სპეციალისტი კლაუდიო რანიერი თავის ყოფილ კლუბ „ვალენსიას“ ჩივილს უპირებს. მოგეხსენებათ, იგი „ღამურების“ თავკაცის პოსტიდან გასულ თებერვალში დაითხოვს. რანიერის აზრით, „ვალენსიამ“ მას კონტრაქტის ორი წლით ადრე გაწყვეტისთვის 8,1 მილიონი ევრო უნდა გადაუხადოს.

**ინგლისური** „ბოლტონი“ ორი ბერძენი ფეხბურთელით, ტრაიანოს დელასითა და იურკას სეიტარიდისით დაინტერესდა. მათ რეკომენდაცია „უონდერერზში“ უკვე მოთამაშე თანამემამულემ, სტელიოს იანაკოპულოსმა გაუწია, თუმცა დელასს სხვა წინადადებებიც აქვს, თანაც შესაძლოა, „რომასთან“ კონტრაქტი გააახანგრძლივოს. ხოლო სეიტარიდისი „პორტუს“ ასე მარტივად არ დატოვებს.

**იტალიელი** მეკარე კარლო კუდიჩინი ახალს სეზონისთვის შესაძლოა, „რომაში“ აღმოჩნდეს. მოგეხსენებათ, კუდიჩინი „ჩელსის“ ძირითადში საერთოდ ველარ ხვდება, კარლოს კი პეტრ ჩეხის დუბლიორობა ნამდვილად არ აწყობს. „რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა. „რომაში“ სიამოვნებით გადავიდოდი. სხვა თუ არაფერი, მეტი სათამაშო პრაქტიკა მექნება. თანაც სამშობლოში, ჩემს მეგობარ გოგონასთან ახლოს ვიქნები“ — განმარტა კუდიჩინიმ.

# წარმოგიდგენთ

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 15.45 | 1 | ჩარლტონი-სიტი | 2.0 | 3.3 | 3.45 | 1.24 | 1.26 | 1.68 |
| 18:00 | 2 | კრისტალ პალასი-მიდლსბრო | 2.4 | 3.2 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 18:00 | 3 | არსენალი-ნორვიჩი | 1.2 | 5.5 | 12.0 | 1.0 | 1.09 | 3.77 |
| 18:00 | 4 | არსენალი-ნორვიჩი | 0:1 | 1.5 | 4.5 | 3.8 | | |
| 18:00 | 5 | ბირმინგემი-ტოტენჰემი | 2.35 | 3.2 | 2.85 | 1.35 | 1.28 | 1.5 |
| 18:00 | 6 | ლივერპული-ბოლტონი | 1.8 | 3.3 | 4.3 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 18:00 | 7 | მანჩესტერი-ბლეკბერნი | 1.25 | 5.0 | 10.0 | 1.0 | 1.11 | 3.33 |
| 18:00 | 8 | მანჩესტერი-ბლეკბერნი | 0:1 | 1.65 | 4.0 | 3.35 | | |
| 18:00 | 9 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.7 | 3.4 | 4.65 | 1.13 | 1.24 | 1.96 |
| 20:15 | 10 | საუთჰემპტონი-ჩელსი | 6.0 | 3.6 | 1.55 | 2.25 | 1.23 | 1.08 |
| 20:15 | 11 | საუთჰემპტონი-ჩელსი | 1:0 | 2.35 | 3.4 | 2.3 | | |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 16:30 | 12 | ფულჰემი-პორტსმუთი | 2.0 | 3.3 | 3.5 | 1.24 | 1.27 | 1.69 |
| 19:05 | 13 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 2.65 | 3.3 | 2.45 | 1.46 | 1.27 | 1.4 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 14 | სტოკი-უოტფორდი | 1.5 | 3.7 | 6.0 | 1.06 | 1.2 | 2.28 |
| 18:00 | 15 | ბერნლი-კარდიფი | 1.95 | 3.2 | 3.6 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 18:00 | 16 | ქოვენტრი-ბრაიტონი | 2.0 | 3.2 | 3.35 | 1.23 | 1.25 | 1.63 |
| 18:00 | 17 | კრიუ-ნოტინგემი | 2.3 | 3.3 | 2.7 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 18:00 | 18 | იპსვიჩი-დერბი | 1.85 | 3.3 | 3.6 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 18:00 | 19 | ლიდსი-ვულვერჰემპტონი | 2.15 | 3.3 | 2.95 | 1.3 | 1.24 | 1.55 |
| 18:00 | 20 | ლესტერი-მილუოლი | 2.2 | 3.3 | 2.85 | 1.31 | 1.24 | 1.52 |
| 18:00 | 21 | პლიმუთი-გილინგემი | 1.95 | 3.3 | 3.4 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 18:00 | 22 | პრესტონი-როთერჰემი | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 18:00 | 23 | ქპრ-სანდერლენდი | 2.75 | 3.3 | 2.25 | 1.5 | 1.23 | 1.33 |
| 18:00 | 24 | რედინგი-შეფილდი | 2.15 | 3.3 | 3.0 | 1.3 | 1.25 | 1.57 |
| 18:00 | 25 | უიგანი-ვესტ ჰემი | 1.75 | 3.4 | 4.2 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 38 | დონკასტერი-ჰადერსფილდი | 1.8 | 3.3 | 3.85 | 1.16 | 1.22 | 1.77 |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 39 | ჰარტლპული-სვინდონი | 1.9 | 3.3 | 3.4 | 1.2 | 1.21 | 1.67 |
| 18:00 | 40 | ჰალი-ბარნსლი | 1.6 | 3.5 | 4.7 | 1.09 | 1.19 | 2.0 |
| 18:00 | 41 | ლუტონი-ბლეკპული | 1.55 | 3.5 | 5.5 | 1.07 | 1.2 | 2.13 |
| 18:00 | 42 | მილტონ კეინსი-ბოურნმუთი | 2.5 | 3.3 | 2.4 | 1.42 | 1.22 | 1.38 |
| 18.00 | 43 | კოლჩესტერი-ტრანმერი | 2.1 | 3.3 | 3.0 | 1.28 | 1.23 | 1.57 |
| 18:00 | 44 | სტოკპორტი-ბრენტფორდი | 3.15 | 3.3 | 2.0 | 1.61 | 1.22 | 1.24 |
| 18:00 | 45 | უოლსოლი-ტორკი | 1.95 | 3.3 | 3.3 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 18:00 | 46 | რექსემი-ბრისტოლი | 2.4 | 3.3 | 2.5 | 1.38 | 1.22 | 1.42 |
| 18:00 | 47 | ბრედფორდი-პორტ ვეილი | 1.7 | 3.3 | 4.5 | 1.12 | 1.23 | 1.9 |
| 18:00 | 48 | ჩესტერფილდი-პიტერბოროუ | 2.25 | 3.3 | 2.7 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| 18:00 | 49 | ოლდჰემი-უენზდეი | 2.15 | 3.2 | 2.9 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 62 | სვანსი-ჩელტენჰემი | 1.55 | 3.5 | 5.5 | 1.07 | 1.2 | 2.13 |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 63 | საუთენდი-უიკომბი | 1.45 | 3.6 | 6.5 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| 18:00 | 64 | კემბრიჯი-კიდერმინსტერი | 1.75 | 3.3 | 4.3 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 18:00 | 65 | ნოთსი-ლინკოლნი | 2.8 | 3.3 | 2.2 | 1.51 | 1.23 | 1.32 |
| 18:00 | 66 | ბოსტონი-შრუსბერი | 2.05 | 3.3 | 3.2 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 18:00 | 67 | ბერი-როჩდეილი | 2.25 | 3.3 | 2.8 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| 18:00 | 68 | დარლინგტონი-ჩესტერი | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 18:00 | 69 | ლეიტონი-ნორთჰემპტონი | 2.6 | 3.2 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| 18:00 | 70 | მენსფილდი-გრიმსბი | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 18:00 | 71 | რაშდენი-ოქსფორდი | 3.7 | 3.4 | 1.8 | 1.77 | 1.21 | 1.17 |
| 18:00 | 72 | სკანთორპი-მაკლსფილდი | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 18:00 | 73 | ბრისტოლი-იოვილი | 2.35 | 3.3 | 2.65 | 1.37 | 1.24 | 1.46 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 84 | კენვი-ექსეტერი | 2.8 | 3.3 | 2.2 | 1.51 | 1.23 | 1.32 |
| 18:00 | 85 | ქროული-გრეივსენდი | 2.3 | 3.2 | 2.7 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 18:00 | 86 | ფარნბორო-კარლაილი | 5.5 | 3.6 | 1.5 | 2.17 | 1.17 | 1.05 |
| 18:00 | 87 | ფორესტ გრინი-ტემვორთი | 2.4 | 3.3 | 2.5 | 1.38 | 1.22 | 1.42 |
| 18:00 | 88 | ბარნეტი-ლეი | 1.3 | 4.2 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.75 |
| 18:00 | 89 | მორკემბი-სკარბორო | 1.9 | 3.4 | 3.3 | 1.21 | 1.2 | 1.67 |
| 18:00 | 90 | ნორთვიჩი-ბარტონი | 3.7 | 3.4 | 1.8 | 1.77 | 1.21 | 1.17 |
| 18:00 | 91 | სტივენიჯი-ჰერეფორდი | 2.15 | 3.2 | 2.9 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 18:00 | 92 | ვოკინგი-დაგ ენდ რედი | 1.75 | 3.4 | 4.0 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 18:00 | 93 | იორკი-ჰალიფაქსი | 2.3 | 3.2 | 2.6 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 94 | სელტიკი-ჰართსი | 1.15 | 5.5 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 3.77 |
| 18:00 | 95 | სელტიკი-ჰართსი | 0:1 | 1.35 | 4.3 | 3.8 | | |
| 18:00 | 96 | დანდი-კილმარნოკი | 2.35 | 3.2 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 18:00 | 97 | ჰიბერნიანი-დანდი იუნაიტედი | 1.55 | 3.5 | 5.0 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 18:00 | 98 | ინვერნესი-აბერდინი | 2.45 | 3.2 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 18:00 | 99 | ლივინგსტონი-დანფერმლაინი | 2.2 | 3.2 | 2.8 | 1.3 | 1.23 | 1.49 |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 100 | მაზერველი-რეინჯერსი | 9.0 | 4.8 | 1.25 | 3.13 | 1.09 | 1.0 |
| 17:00 | 101 | მაზერველი-რეინჯერსი | 1:0 | 3.15 | 4.0 | 1.65 | | |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 102 | კლაიდი-ჰამილტონი | 1.7 | 3.5 | 3.9 | 1.14 | 1.18 | 1.84 |
| 18:00 | 103 | ფოლკერკი-სენტ-ჯონსტონი | 1.6 | 3.6 | 4.3 | 1.1 | 1.16 | 1.95 |
| 18:00 | 104 | ქუინი-პარტიკი | 1.95 | 3.5 | 3.0 | 1.25 | 1.18 | 1.61 |
| 18:00 | 105 | როსი-ეირდრი | 2.25 | 3.3 | 2.65 | 1.33 | 1.21 | 1.46 |
| 18:00 | 106 | სტ.მირენი-რეითი | 1.45 | 4.0 | 5.5 | 1.06 | 1.14 | 2.31 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 107 | აირი-არბროთი | 1.85 | 3.5 | 3.3 | 1.21 | 1.18 | 1.69 |
| 18:00 | 108 | ბრეჩინი-ფორფარი | 2.25 | 3.4 | 2.6 | 1.35 | 1.2 | 1.47 |
| 18:00 | 109 | ბერვიკი-მორტონი | 1.75 | 3.6 | 3.5 | 1.17 | 1.16 | 1.77 |
| 18:00 | 110 | დამბარტონი-ალოა | 2.35 | 3.4 | 2.4 | 1.38 | 1.18 | 1.4 |
| 18:00 | 111 | სტირლინგი-სტრანრაერი | 2.45 | 3.5 | 2.3 | 1.44 | 1.18 | 1.38 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 112 | ალბიონი-ელგინი | 2.45 | 3.4 | 2.35 | 1.42 | 1.19 | 1.38 |
| 18:00 | 113 | კოუდენბიტი-მონტროზი | 2.35 | 3.5 | 2.4 | 1.4 | 1.18 | 1.42 |
| 18:00 | 114 | ისტ ფაიფი-გრეტნა | 7.5 | 5.0 | 1.25 | 3.0 | 1.07 | 1.0 |
| 18:00 | 115 | პიტერჰედი-სტენჰაუსმუირი | 1.35 | 4.5 | 6.0 | 1.03 | 1.1 | 2.57 |
| 18:00 | 116 | ქუინს პარკი-ისტ სტირლინგი | 1.75 | 3.5 | 3.6 | 1.16 | 1.17 | 1.77 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 17:30 | 117 | არმინია-ლევერკუზენი | 2.8 | 3.3 | 2.25 | 1.51 | 1.24 | 1.33 |
| 17:30 | 118 | ფრაიბურგი-ჰამბურგი | 4.0 | 3.4 | 1.8 | 1.83 | 1.24 | 1.17 |
| 17:30 | 119 | ჰანზა-მაინცი | 1.95 | 3.2 | 3.65 | 1.21 | 1.27 | 1.7 |
| 17:30 | 120 | კაიზერსლაუტერნი-ჰანოვერი | 1.85 | 3.2 | 3.9 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| 17:30 | 121 | შალკე-ნიურნბერგი | 1.4 | 4.0 | 7.5 | 1.03 | 1.17 | 2.6 |
| 17:30 | 122 | შალკე-ნიურნბერგი | 0:1 | 1.9 | 3.8 | 2.65 | | |
| 17:30 | 123 | ვერდერი-შტუტგარტი | 1.95 | 3.3 | 3.6 | 1.22 | 1.26 | 1.72 |
| 17:30 | 124 | ვოლფსბურგი-ბაიერნი | 3.8 | 3.4 | 1.85 | 1.79 | 1.24 | 1.19 |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 19:30 | 125 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 1.85 | 3.4 | 3.8 | 1.19 | 1.24 | 1.79 |
| 19:30 | 126 | დორტმუნდი-ჰერტა | 2.3 | 3.3 | 2.8 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 127 | ალემანია-ფრანკფურტი | 1.45 | 3.8 | 6.0 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 21:00 | 128 | ესენი-დინამო | 2.0 | 3.2 | 3.3 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 21:00 | 129 | აუე-ობერჰაუზენი | 1.75 | 3.3 | 4.2 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 130 | ფიურტი-კარლსრუე | 1.6 | 3.4 | 4.8 | 1.08 | 1.2 | 1.99 |
| 17:00 | 131 | მიუნხენი 1860-კიოლნი | 2.25 | 3.1 | 2.9 | 1.3 | 1.26 | 1.49 |
| 17:00 | 132 | ოსნაბრიუკი-საარბრიუკენი | 2.15 | 3.1 | 3.1 | 1.26 | 1.26 | 1.54 |
| 17:00 | 133 | ალენი-აინტრახტი | 2.8 | 3.1 | 2.3 | 1.47 | 1.26 | 1.32 |
| 17:00 | 134 | უნტერჰახინგი-ბურგჰაუზენი | 1.95 | 3.2 | 3.35 | 1.21 | 1.23 | 1.63 |
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 22:15 | 135 | ტრიერი-დუისბურგი | 2.8 | 3.1 | 2.3 | 1.47 | 1.26 | 1.32 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 21:30 | 140 | ოსნაბრიუკი-ლიუბეკი | 1.95 | 3.2 | 3.3 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 21:30 | 141 | ზანკტ პაული-დორტმუნდი(მ) | 1.75 | 3.4 | 3.8 | 1.15 | 1.19 | 1.79 |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 16:00 | 142 | ერინგენი-ვოლფსბურგი(მ) | 1.7 | 3.4 | 4.0 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| 16:00 | 143 | უნიონი-არმინია(მ) | 2.25 | 3.2 | 2.65 | 1.32 | 1.21 | 1.44 |
| 16:00 | 144 | ვუპერტალი-მიუნსტერი | 1.95 | 3.3 | 3.3 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 16:00 | 145 | ჰამბურგი(მ)-დიუსელდორფი | 1.75 | 3.3 | 4.0 | 1.14 | 1.21 | 1.8 |
| 16:00 | 146 | ჰერტა(მ)-ბრაუნშვაიგი | 2.75 | 3.2 | 2.2 | 1.47 | 1.22 | 1.3 |
| 16:00 | 147 | კიოლნი-ვერდერი(მ) | 1.8 | 3.3 | 3.7 | 1.16 | 1.21 | 1.74 |
| 16:00 | 148 | კიოლნი(მ)-ქემნიცი | 1.9 | 3.3 | 3.3 | 1.2 | 1.2 | 1.64 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 157 | მაინცი(მ)-დარმშტადტი | 2.3 | 3.2 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |
| 21:00 | 158 | ნიურნბერგი-ელვერსბერგი | 3.45 | 3.3 | 1.85 | 1.68 | 1.2 | 1.18 |
| 21:30 | 159 | კობლენცი-შტუტგარტი(მ) | 1.7 | 3.4 | 4.0 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 16:30 | 156 | კიკერსი-ჰოფენჰაიმი | 2.2 | 3.3 | 2.7 | 1.32 | 1.21 | 1.48 |
| 16:30 | 160 | აუგსბურგი-ალენი | 1.65 | 3.3 | 4.5 | 1.1 | 1.2 | 1.9 |
| 16:30 | 162 | ზიგენი-ფილინგენი | 1.45 | 3.8 | 5.5 | 1.04 | 1.14 | 2.24 |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 163 | ბაიერნი(მ)-რეგენსბურგი | 2.4 | 3.1 | 2.55 | 1.35 | 1.23 | 1.39 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 20:30 | 164 | ავსტრია-ტიროლი | 1.4 | 4.0 | 7.0 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| 20:30 | 166 | პაშინგი-ბრეგენცი | 1.25 | 4.8 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.13 |
| 20:30 | 167 | ზალცბურგი-გრაცი | 2.95 | 3.3 | 2.15 | 1.55 | 1.24 | 1.3 |
| 20:30 | 168 | შტურმი-ადმირა | 1.85 | 3.4 | 3.7 | 1.19 | 1.23 | 1.77 |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 17:30 | 165 | მატერსბურგი-რაპიდი | 2.9 | 3.3 | 2.2 | 1.54 | 1.25 | 1.32 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 169 | ალტახი-კერნტენი | 3.1 | 3.2 | 2.0 | 1.57 | 1.21 | 1.23 |
| 21:00 | 170 | ლეობენი-გრატკორნი | 1.8 | 3.3 | 3.6 | 1.16 | 1.2 | 1.72 |
| 21:00 | 171 | რიდი-კაპფენბერგი | 1.85 | 3.1 | 3.8 | 1.15 | 1.24 | 1.7 |
| 21:00 | 172 | უნტერზიბენბრუნი-ლინცი | 2.15 | 3.2 | 2.85 | 1.28 | 1.22 | 1.5 |
| 21:00 | 173 | ვოლფსბერგი-ავსტრია(ლ) | 3.7 | 3.4 | 1.75 | 1.77 | 1.18 | 1.15 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 21:30 | 174 | ბაზელი-აარაუ | 1.3 | 4.4 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.83 |
| 21:30 | 175 | ბაზელი-აარაუ | 0:1 | 1.85 | 3.9 | 2.8 | | |
| 21:30 | 176 | გრასჰოპერი-შაფჰაუზენი | 1.4 | 3.8 | 7.3 | 1.02 | 1.17 | 2.49 |
| 21:30 | 177 | გრასჰოპერი-შაფჰაუზენი | 0:1 | 2.1 | 3.7 | 2.5 | | |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 16:30 | 178 | თუნი-ქსამაქსი | 2.05 | 3.2 | 3.2 | 1.24 | 1.24 | 1.6 |
| 18:15 | 179 | სენ-გალენი-ციურიხი | 2.2 | 3.1 | 3.0 | 1.28 | 1.26 | 1.52 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 16:30 | 187 | კონკორდია-ვილი | 1.85 | 3.2 | 3.8 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 18:30 | 188 | ივერდონი-შო დე ფონი | 2.15 | 3.1 | 2.9 | 1.26 | 1.23 | 1.49 |
| 19:30 | 189 | ვადუცი-ბიელი | 1.35 | 4.2 | 7.0 | 1.02 | 1.13 | 2.62 |
| 19:30 | 190 | იუვენტუსი-ვოლენი | 1.3 | 4.5 | 7.5 | 1.0 | 1.1 | 2.81 |
| 19:30 | 191 | იუვენტუსი-ვოლენი0:1 | 1.8 | 3.9 | 2.85 | | | |
| 21:30 | 192 | ლუცერნი-ბაულმესი | 1.15 | 6.0 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 4.0 |
| 21:30 | 193 | ლუცერნი-ბაულმესი0:1 | 1.4 | 4.5 | 4.3 | | | |
| 21:30 | 194 | მეირინი-კრიენსი | 1.95 | 3.2 | 3.3 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 21:30 | 195 | სიონი-ბულე | 1.25 | 4.8 | 8.0 | 1.0 | 1.08 | 3.0 |
| 21:30 | 196 | კიასო-ვინტერთური | 1.45 | 3.8 | 6.0 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 197 | ლუგანო-ბელინცონა | 1.9 | 3.3 | 3.5 | 1.2 | 1.23 | 1.69 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 198 | ფიორენტინა-იუვენტუსი | 4.5 | 3.3 | 1.75 | 1.9 | 1.25 | 1.14 |
| 20:00 | 200 | ლაციო-ლივორნო | 1.8 | 3.0 | 4.8 | 1.12 | 1.3 | 1.84 |
| 22:30 | 201 | ბოლონია-ინტერი | 3.2 | 2.9 | 2.3 | 1.52 | 1.33 | 1.28 |
| 22:30 | 202 | მილანი-ბრეშა | 1.15 | 5.5 | 15.0 | 1.0 | 1.06 | 4.02 |
| 22:30 | 203 | მილანი-ბრეშა | 0:1 | 1.45 | 4.0 | 4.3 | | |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 204 | პალერმო-მესინა | 1.75 | 3.1 | 5.0 | 1.11 | 1.29 | 1.91 |
| 17:00 | 205 | რეჯინა-პარმა | 2.15 | 2.8 | 3.7 | 1.21 | 1.35 | 1.59 |
| 17:00 | 206 | უდინეზე-რომა | 1.85 | 3.2 | 4.1 | 1.17 | 1.27 | 1.79 |
| 17:00 | 207 | კალიარი-სამპდორია | 2.3 | 2.9 | 3.2 | 1.28 | 1.33 | 1.52 |
| 17:00 | 208 | ლეჩე-სიენა | 1.95 | 3.1 | 3.9 | 1.19 | 1.29 | 1.72 |
| 17:00 | 209 | ატალანტა-კიევო | 2.2 | 3.0 | 3.3 | 1.26 | 1.32 | 1.57 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 210 | ჩეზენა-არეცო | 1.85 | 3.0 | 4.1 | 1.14 | 1.27 | 1.73 |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 211 | კროტონე-ტრიესტინა | 1.95 | 2.8 | 4.0 | 1.14 | 1.31 | 1.63 |
| 22:30 | 212 | პერუჯა-ტერნანა | 1.85 | 2.7 | 4.8 | 1.09 | 1.33 | 1.72 |
| 22:30 | 213 | პიაჩენცა-სალერნიტანა | 2.05 | 2.7 | 3.9 | 1.16 | 1.34 | 1.59 |
| 22:30 | 214 | პესკარა-ტრევიზო | 2.3 | 2.7 | 3.2 | 1.24 | 1.33 | 1.46 |
| 22:30 | 215 | ტორინო-ემპოლი | 2.1 | 2.7 | 3.7 | 1.18 | 1.33 | 1.56 |
| 22:30 | 216 | ვენეცია-კატანზარო | 1.8 | 3.1 | 4.2 | 1.13 | 1.25 | 1.78 |
| 22:30 | 217 | ვიჩენცა-ასკოლი | 2.25 | 2.7 | 3.3 | 1.22 | 1.33 | 1.48 |
| 22:30 | 218 | ბარი-გენოა | 2.15 | 2.6 | 3.8 | 1.17 | 1.37 | 1.54 |
| 22:30 | 219 | ვერონა-ალბინოლეფე | 1.4 | 3.7 | 7.5 | 1.01 | 1.17 | 2.47 |
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 220 | მოდენა-კატანია | 2.3 | 2.6 | 3.3 | 1.22 | 1.35 | 1.45 |
| | | **იტალია. სერია C1/A** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 228 | პრო პატრია-კრემონეზე | 3.05 | 2.6 | 2.4 | 1.4 | 1.34 | 1.24 |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 221 | ალესანდრია-პიზა | 2.55 | 2.7 | 2.75 | 1.31 | 1.32 | 1.36 |
| 17:00 | 222 | კომო-გროსეტო | 3.3 | 2.6 | 2.25 | 1.45 | 1.33 | 1.2 |
| 17:00 | 223 | ფიორენცუოლა-სანჯოვანეზე | 2.1 | 2.6 | 3.7 | 1.16 | 1.33 | 1.52 |
| 17:00 | 224 | პროვერჩელი-მანტოვა | 2.4 | 2.6 | 3.1 | 1.24 | 1.35 | 1.41 |
| 17:00 | 225 | ლუკეზე-ლუმეცანე | 2.0 | 2.6 | 4.0 | 1.13 | 1.33 | 1.57 |
| 17:00 | 226 | პავია-ვარეზე | 1.35 | 3.8 | 8.0 | 1.0 | 1.15 | 2.57 |
| 17:00 | 227 | პრატო-ტორესი | 2.7 | 2.6 | 2.65 | 1.32 | 1.33 | 1.31 |
| 17:00 | 229 | სპეცია-ნოვარა | 1.7 | 2.7 | 5.8 | 1.04 | 1.31 | 1.84 |
| | | **იტალია. სერია C1/B** | | | | | | |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 230 | ჯულიანოვა-რიმინი | 5.3 | 3.0 | 1.65 | 1.91 | 1.25 | 1.06 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 240 | სოსიედადი-ოსასუნა | 1.9 | 3.2 | 4.0 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 23:45 | 241 | ვილიარეალი-ათლეტიკი | 1.75 | 3.4 | 4.3 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 22:00 | 242 | სარაგოსა-ვალენსია | 2.4 | 3.3 | 2.7 | 1.38 | 1.27 | 1.48 |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 23:00 | 231 | ალბასეტე-რეალი | 4.9 | 3.5 | 1.65 | 2.04 | 1.23 | 1.12 |
| 21:00 | 233 | ატლეტიკო-მაიორკა | 1.5 | 3.8 | 6.0 | 1.07 | 1.2 | 2.32 |
| 19:00 | 234 | ბარსელონა-ბეტისი | 1.45 | 3.8 | 6.5 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| 19:00 | 235 | ლევანტე-დეპორტივო | 2.6 | 3.2 | 2.5 | 1.43 | 1.27 | 1.4 |
| 19:00 | 236 | მალაგა-ხეტაფე | 1.8 | 3.2 | 4.5 | 1.15 | 1.28 | 1.87 |
| 19:00 | 237 | რასინგი-ესპანიოლი | 2.15 | 3.2 | 3.2 | 1.28 | 1.28 | 1.6 |
| 19:00 | 238 | სევილია-ნუმანსია | 1.45 | 4.1 | 6.5 | 1.07 | 1.18 | 2.51 |
| 19:00 | 239 | სევილია-ნუმანსია | 0:1 | 2.0 | 3.9 | 2.5 | | |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 20:30 | 244 | ალმერია-ტენერიფე | 2.4 | 2.7 | 3.1 | 1.27 | 1.35 | 1.44 |
| 20:30 | 245 | სელტა-ხიმნასტიკი | 1.5 | 3.4 | 6.5 | 1.04 | 1.21 | 2.23 |
| 20:30 | 253 | ხერესი-ტერასა | 1.85 | 2.9 | 4.5 | 1.12 | 1.31 | 1.76 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 14:00 | 243 | ალავესი-კადისი | 2.25 | 2.9 | 3.15 | 1.26 | 1.31 | 1.5 |
| 20:00 | 246 | ეიბარი-პონფერადინა | 1.45 | 3.6 | 6.5 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| 19:00 | 247 | ფეროლი-მალაგა B | 2.3 | 3.0 | 2.9 | 1.3 | 1.28 | 1.47 |
| 20:00 | 248 | ხიმნასტიკი-ელჩე | 2.2 | 2.9 | 3.2 | 1.25 | 1.3 | 1.52 |
| 20:00 | 249 | ტარაგონა-ვალიადოლიდი | 2.35 | 3.0 | 2.9 | 1.31 | 1.29 | 1.47 |
| 20:00 | 250 | ლეიდა-ხერესი | 2.15 | 2.9 | 3.4 | 1.23 | 1.31 | 1.56 |
| 20:00 | 251 | მურსია-ეხიდო | 2.35 | 2.9 | 3.0 | 1.29 | 1.31 | 1.47 |
| 20:00 | 252 | ტენერიფე-კორდობა | 1.9 | 2.9 | 4.2 | 1.14 | 1.3 | 1.71 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 254 | მეცი-სტრასბურგი | 2.35 | 2.6 | 3.4 | 1.23 | 1.38 | 1.47 |
| 22:00 | 255 | ნიცა-სენტ-ეტიენი | 2.3 | 2.7 | 3.4 | 1.24 | 1.37 | 1.5 |
| 22:00 | 256 | რენი-ბასტია | 1.6 | 3.2 | 6.1 | 1.06 | 1.26 | 2.09 |
| 22:00 | 257 | სოშო-კანი | 1.65 | 3.1 | 5.6 | 1.07 | 1.27 | 1.99 |
| 22:00 | 258 | ისტრი-მონაკო | 3.35 | 2.8 | 2.25 | 1.52 | 1.34 | 1.24 |
| 19:15 | 260 | ლანსი-ნანტი | 1.7 | 3.1 | 5.0 | 1.09 | 1.26 | 1.91 |
| 22:00 | 261 | ბორდო-აიაჩო | 1.75 | 2.9 | 5.3 | 1.09 | 1.31 | 1.87 |
| 22:00 | 262 | ლილი-ოსერი | 1.5 | 3.3 | 6.8 | 1.03 | 1.22 | 2.22 |
| 22:00 | 263 | ლიონი-ლავალი | 1.5 | 3.3 | 7.5 | 1.03 | 1.25 | 2.29 |
| 22:00 | 264 | ლიონი-ლავალი | 0:1 | 2.1 | 3.2 | 2.3 | | |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 23:00 | 265 | მარსელი-პსჟ | 1.75 | 3.0 | 5.0 | 1.1 | 1.29 | 1.87 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 268 | ამიენი-გუენგამი | 2.0 | 2.8 | 4.0 | 1.16 | 1.33 | 1.64 |
| 22:00 | 269 | კლერმონი-ნანსი | 2.9 | 2.8 | 2.4 | 1.42 | 1.31 | 1.29 |
| 22:00 | 270 | კრეტეი-ლორიანი | 2.25 | 2.8 | 3.2 | 1.24 | 1.32 | 1.49 |
| 22:00 | 271 | გრენობლი-შატორუ | 2.2 | 2.8 | 3.25 | 1.23 | 1.31 | 1.5 |
| 22:00 | 272 | გენიონი-დიჟონი | 2.05 | 2.8 | 3.9 | 1.18 | 1.34 | 1.62 |
| 22:00 | 273 | ლე ჰავრი-მონპელიე | 2.2 | 2.8 | 3.25 | 1.23 | 1.31 | 1.5 |
| 22:00 | 274 | ნიორი-ლავალი | 2.75 | 2.7 | 2.6 | 1.36 | 1.33 | 1.32 |
| 22:00 | 275 | რეიმსი-ანჟე | 2.0 | 2.8 | 3.8 | 1.16 | 1.31 | 1.61 |
| 22:30 | 276 | ბრესტი-სედანი | 1.95 | 2.8 | 4.0 | 1.14 | 1.31 | 1.64 |
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 22:15 | 277 | ლე მანი-ტრუა | 2.05 | 2.9 | 3.55 | 1.2 | 1.29 | 1.59 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 278 | სერკლი-ბევერენი | 2.0 | 3.3 | 3.25 | 1.24 | 1.23 | 1.63 |
| 22:00 | 279 | ლოკერენი-ოსტენდე | 1.75 | 3.4 | 4.2 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 22:00 | 280 | სტანდარდი-ბეერშოტი | 1.35 | 4.3 | 7.5 | 1.02 | 1.14 | 2.73 |
| 22:00 | 281 | ლირსი-მონსი | 1.65 | 3.6 | 4.5 | 1.13 | 1.2 | 2.0 |
| 22:00 | 282 | შარლერუა-გენტი | 2.15 | 3.4 | 2.85 | 1.31 | 1.22 | 1.55 |
| 22:00 | 283 | ლა ლუვიერი-ბრიუგე | 5.0 | 3.5 | 1.6 | 2.05 | 1.21 | 1.09 |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 284 | ბრიუსელი-სტ.ტრუიდენი | 1.95 | 3.4 | 3.2 | 1.23 | 1.21 | 1.64 |
| 17:00 | 285 | მუსკრონი-ვესტერლო | 2.2 | 3.3 | 2.8 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 22:00 | 286 | გენკი-ანდერლეხტი | 2.4 | 3.2 | 2.6 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 21:30 | 287 | დენდერი-კორტრეიკი | 2.1 | 3.2 | 3.0 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 22:00 | 288 | ანტვერპენი-გეელი | 2.4 | 3.1 | 2.55 | 1.35 | 1.23 | 1.39 |
| 22:00 | 289 | ტუბიზე-ტურნეი | 2.3 | 3.1 | 2.65 | 1.32 | 1.23 | 1.42 |
| 22:00 | 290 | ვაასლანდი-ეუპენი | 1.5 | 3.7 | 5.3 | 1.06 | 1.16 | 2.17 |
| 22:00 | 291 | ვირტონი-ვერვიე | 2.1 | 3.1 | 3.0 | 1.25 | 1.23 | 1.52 |
| 22:00 | 292 | რუსელარე-მეხელენი | 1.3 | 4.5 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.88 |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 293 | სერენი-რონსე | 2.4 | 3.2 | 2.5 | 1.37 | 1.22 | 1.4 |
| 17:00 | 294 | ოსტენდე-ჰერენტალსი | 2.15 | 3.1 | 2.9 | 1.26 | 1.23 | 1.49 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 295 | ვიტესი-ტვენტე | 2.05 | 3.4 | 3.2 | 1.27 | 1.24 | 1.64 |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 21:30 | 296 | დენ ჰააგი-ვაალვეიკი | 2.3 | 3.3 | 2.65 | 1.35 | 1.23 | 1.46 |
| 21:30 | 297 | ჰერენვენი-აიაქსი | 3.25 | 3.4 | 1.95 | 1.66 | 1.21 | 1.23 |
| 21:30 | 298 | მვვ-უტრეხტი | 1.25 | 5.0 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.21 |
| 21:30 | 299 | მვვ-უტრეხტი | 0:1 | 1.55 | 4.3 | 3.45 | | |
| 21:30 | 300 | ტილბურგი-გრაფსხაპი | 1.6 | 3.6 | 5.0 | 1.1 | 1.21 | 2.09 |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 16:30 | 301 | ფეიენოორდი-ალკმაარი | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 16:30 | 302 | ნაიმეგენი-გრონინგენი | 2.15 | 3.2 | 3.1 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 16:30 | 303 | როზენდალი-დენ ბოსხი | 1.6 | 3.9 | 4.4 | 1.13 | 1.17 | 2.06 |
| 18:30 | 304 | როდა-ბრედა | 1.75 | 3.5 | 4.0 | 1.16 | 1.21 | 1.86 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 307 | აპელდოორნი-კამბური | 1.95 | 3.3 | 3.3 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 22:00 | 308 | ვოლენდამი-ზვოლე | 2.4 | 3.4 | 2.5 | 1.4 | 1.22 | 1.44 |
| 22:00 | 309 | დორდრეხტი-ვენლო | 2.4 | 3.4 | 2.5 | 1.4 | 1.22 | 1.44 |
| 22:00 | 310 | ხერაკლესი-ოსი | 2.55 | 3.4 | 2.35 | 1.45 | 1.22 | 1.38 |
| 22:00 | 311 | ემენი-ჰაარლემი | 1.85 | 3.4 | 3.5 | 1.19 | 1.21 | 1.72 |
| 22:00 | 312 | ჰელმონდი-ემენი | 1.35 | 4.0 | 7.5 | 1.0 | 1.14 | 2.6 |
| 22:00 | 313 | ეინდჰოვენი-ვეენდამი | 1.55 | 3.8 | 4.8 | 1.1 | 1.17 | 2.12 |
| 22:00 | 314 | სპარტა-ფორტუნა | 1.25 | 5.5 | 8.5 | 1.01 | 1.08 | 3.33 |
| 22:00 | 315 | ტელსტარი-მაასტრიხტი | 1.7 | 3.5 | 4.3 | 1.14 | 1.21 | 1.92 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 321 | გიმარაეში-რიო ავე | 1.85 | 3.1 | 4.2 | 1.15 | 1.28 | 1.78 |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 319 | ბოავიშტა-ესტორილი | 2.45 | 3.2 | 2.6 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 316 | ბეირა მარი-ბენფიკა | 2.25 | 3.2 | 2.9 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 23:30 | 317 | სპორტინგი-მარიტიმო | 1.4 | 4.0 | 7.5 | 1.03 | 1.17 | 2.6 |
| 23:30 | 318 | სპორტინგი-მარიტიმო | 0:1 | 1.9 | 3.8 | 2.6 | | |
| 19:00 | 322 | მორეირენსე-ბელენენსეში | 2.2 | 3.0 | 3.0 | 1.26 | 1.26 | 1.5 |
| 19:00 | 323 | ნაციონალი-სეტუბალი | 1.75 | 3.3 | 4.0 | 1.14 | 1.21 | 1.8 |
| 21:15 | 324 | პორტუ-ჟილ ვისენტე | 1.3 | 4.3 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.79 |
| 21:15 | 325 | პორტუ-ჟილ ვისენტე | 0:1 | 1.8 | 4.0 | 2.8 | | |
| 19:00 | 326 | აკადემიკა-პენაფიელი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 23:30 | 320 | ბრაგა-ლეირია | 1.65 | 3.4 | 4.8 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| | | **პორტუგალია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 327 | ვარზიმი-პორტიმონენსე | 1.9 | 3.2 | 3.6 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 19:00 | 328 | მარკო-ფეირენსე | 1.95 | 3.2 | 3.4 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 19:00 | 329 | ალვერკა-ავეში | 2.5 | 3.2 | 2.45 | 1.4 | 1.23 | 1.38 |
| 19:00 | 330 | შავეში-ფელგეირასი | 2.85 | 3.0 | 2.25 | 1.46 | 1.25 | 1.28 |
| 19:00 | 331 | ეშპინიო-ოვარენსე | 2.1 | 3.1 | 3.0 | 1.25 | 1.23 | 1.52 |
| 19:00 | 332 | ფელგეირასი-სანტა კლარა | 2.05 | 3.2 | 3.0 | 1.24 | 1.21 | 1.54 |
| 19:00 | 333 | გონდომარი-ოლიანენსე | 2.15 | 3.2 | 2.8 | 1.28 | 1.21 | 1.49 |
| 19:00 | 334 | ლეიშოენსი-ნავალი | 2.2 | 3.2 | 2.8 | 1.3 | 1.23 | 1.49 |
| 19:00 | 335 | მაია-ამადორა | 2.5 | 3.2 | 2.4 | 1.4 | 1.22 | 1.37 |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 18:45 | 336 | ხალკიდონა-აეკ | 3.4 | 3.2 | 1.9 | 1.64 | 1.21 | 1.19 |
| 20:30 | 345 | პაოკ-ქსანთი | 1.8 | 3.1 | 3.9 | 1.13 | 1.23 | 1.72 |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 19:30 | 337 | ეგალეო-ირაკლისი | 1.85 | 3.2 | 3.6 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 17:30 | 338 | ერგოტელისი-ოფი | 2.3 | 3.0 | 2.9 | 1.3 | 1.28 | 1.47 |
| 17:30 | 339 | კალამარია-კერკირა | 2.0 | 3.0 | 3.4 | 1.2 | 1.25 | 1.59 |
| 17:30 | 340 | აკრიტასი-პანიონიოსი | 2.6 | 3.0 | 2.5 | 1.39 | 1.27 | 1.36 |
| 22:00 | 341 | ოლიმპიაკოსი-იონიკოსი | 1.1 | 6.6 | 15.0 | 1.0 | 1.02 | 4.58 |
| 22:00 | 342 | ოლიმპიაკოსი-იონიკოსი | 0:1 | 1.3 | 4.5 | 4.6 | | |
| 20:15 | 343 | პანათინაიკოსი-არისი | 1.15 | 6.0 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 4.0 |
| 20:15 | 344 | პანათინაიკოსი-არისი | 0:1 | 1.35 | 4.5 | 4.0 | | |
| | | **თურქეთი** | | | | | | |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 15:30 | 346 | ისტანბულსპორი-სამსუნი | 1.75 | 3.2 | 4.5 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| 17:00 | 347 | რიზე-გენჩლერბირლიგი | 1.95 | 3.3 | 3.5 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 17:00 | 348 | ანკარაგუჯუ-სივასი | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 20:00 | 349 | ფენერბაჰჩე-გაზიანთეპი | 1.2 | 5.0 | 10.0 | 1.0 | 1.07 | 3.33 |
| 20:00 | 350 | ფენერბაჰჩე-გაზიანთეპი | 0:1 | 1.55 | 4.2 | 3.4 | | |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 15:30 | 351 | კონია-დენიზლი | 2.1 | 3.3 | 3.1 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 15:30 | 352 | სამსუნი-მალატია | 2.15 | 3.2 | 3.0 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 15:30 | 353 | ტრაბზონი-ანკარა | 1.25 | 5.3 | 7.5 | 1.01 | 1.07 | 3.1 |
| 20:00 | 354 | კაისერი-გალათასარაი | 6.0 | 3.8 | 1.45 | 2.32 | 1.16 | 1.04 |
| 17:00 | 355 | დიარბაქირი-ბეშიქთაში | 4.0 | 3.4 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| | | **პოლონეთი** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 368 | ლეხი-პოგონი | 1.85 | 3.2 | 3.6 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 366 | გურნიკი-ამიკა | 2.8 | 3.1 | 2.2 | 1.47 | 1.23 | 1.28 |
| 20:00 | 367 | გროძისკი-პოლონია | 1.4 | 3.6 | 7.1 | 1.0 | 1.16 | 2.38 |
| 20:00 | 369 | ოდრა-კრაკოვია | 2.15 | 3.0 | 3.0 | 1.25 | 1.25 | 1.5 |
| 20:15 | 370 | ზაგლებიე-ლეგია | 3.7 | 3.3 | 1.8 | 1.74 | 1.21 | 1.16 |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 365 | ლეხია-ვისლა | 6.0 | 4.0 | 1.4 | 2.4 | 1.13 | 1.03 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 371 | ლიბერეცი-ბოლესლავი | 1.5 | 3.6 | 5.5 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| 19:00 | 372 | ოპავა-ხმელ ბლშანი | 2.4 | 2.8 | 2.8 | 1.29 | 1.29 | 1.39 |
| 22:00 | 373 | ბუდეიოვიცე-დრნოვიცე | 2.1 | 3.1 | 3.2 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 22:00 | 374 | ზლინი-ბანიკი | 2.5 | 2.9 | 2.7 | 1.34 | 1.29 | 1.39 |
| 19:00 | 377 | პლზენი-სიგმა | 2.6 | 3.0 | 2.5 | 1.39 | 1.27 | 1.36 |
| 16:25 | 378 | პრიბრამი-სპარტა | 5.5 | 3.8 | 1.45 | 2.24 | 1.14 | 1.04 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 376 | ტეპლიცე-ბრნო | 1.65 | 3.4 | 4.5 | 1.11 | 1.2 | 1.93 |
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 18:40 | 375 | სლავია-ოლომოუცი | 1.6 | 3.3 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | | **ხორვატია** | | | | | | |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 19:45 | 379 | ჰაიდუკი-ზაგრები | 1.4 | 3.8 | 6.5 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| 20:00 | 380 | რიეკა-ვარტექსი | 1.6 | 3.5 | 4.5 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 18:00 | 381 | სლავენი-ინტერი | 1.7 | 3.4 | 4.0 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| 18:00 | 382 | დინამო-მეჟიმურიე | 1.25 | 4.5 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.0 |
| 18:00 | 383 | კამენი-ზადარი | 1.4 | 3.6 | 7.0 | 1.0 | 1.16 | 2.37 |
| 20:00 | 384 | ოსიეკი-პულა | 1.75 | 3.0 | 4.5 | 1.1 | 1.25 | 1.79 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 393 | ბრონდბი-მიდტიულანდი | 1.5 | 3.8 | 5.5 | 1.07 | 1.17 | 2.24 |
| 19:00 | 394 | სილკებორგი-ესბიერგი | 2.7 | 3.2 | 2.3 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 395 | ვიბორგი-ოდენსე | 2.45 | 3.2 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 17:00 | 396 | რანდერსი-ორჰუსი | 3.3 | 3.2 | 2.0 | 1.62 | 1.24 | 1.23 |
| 17:00 | 397 | ნორდშელანდი-კოპენჰაგენი | 1.9 | 3.3 | 3.5 | 1.2 | 1.23 | 1.69 |
| 19:30 | 398 | ოლბორგი-ჰერფოლგე | 2.7 | 3.2 | 2.3 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 415 | ბოჰემიანსი-დერი | 1.85 | 3.2 | 3.65 | 1.17 | 1.22 | [illegible] |
| 22:45 | 416 | ბრეი-დანდოლკი | 2.1 | 3.1 | 3.2 | 1.25 | 1.26 | [illegible] |
| 22:45 | 417 | ლონგფორდი-სტ.პატრიკსი | 2.1 | 3.0 | 3.2 | 1.23 | 1.26 | 1.54 |
| 23:00 | 418 | შელბორნი-უოტერფორდი | 1.55 | 3.5 | 5.0 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 419 | კორკი-შემროკი | 2.8 | 3.1 | 2.2 | 1.47 | 1.23 | 1.28 |
| | | **იაპონია** | | | | | | |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 9:00 | 420 | იოკოჰამა-ნაგოია | 1.6 | 3.5 | 4.5 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 10:00 | 421 | ოსაკა-შიმიძუ | 1.75 | 3.3 | 4.0 | 1.14 | 1.21 | 1.8 |
| 10:00 | 422 | კაშივა-კაშიმა | 2.35 | 3.0 | 2.65 | 1.31 | 1.21 | 1.4 |
| 10:00 | 423 | ნიიგატა-ჯუბილო | 1.75 | 3.4 | 4.0 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 11:00 | 424 | ოიტა-ფრონტალე | 1.9 | 3.2 | 3.5 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 11:00 | 425 | კობე-ტოკიო | 2.4 | 3.0 | 2.75 | 1.33 | 1.28 | 1.43 |
| 14:00 | 426 | ომია-ურავა | 2.8 | 3.1 | 2.25 | 1.47 | 1.24 | 1.3 |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 10:00 | 427 | გამბა-კავასაკი | 1.7 | 3.4 | 4.1 | 1.13 | 1.2 | 1.85 |
| 10:00 | 428 | ვერდი-ჩიბა | 2.15 | 3.1 | 2.9 | 1.26 | 1.23 | 1.49 |
| | | **არგენტინა** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 443 | ინდეპენდიენტე-ხიმნასია | 1.75 | 3.3 | 4.2 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| | | **ფინეთი. თასი** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 593 | ჰაკა-ლაჰტი | 2.0 | 3.2 | 3.3 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 21:00 | 594 | მიპა-ალიანსი | 1.9 | 3.3 | 3.5 | 1.2 | 1.23 | 1.69 |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 595 | ტამპერე-იარო | 1.75 | 3.2 | 4.2 | 1.13 | 1.23 | 1.81 |
| | | **როიალ ლიგა** | | | | | | |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 586 | ვალერენგა-გოტებორგი | 1.75 | 3.4 | 4.1 | 1.15 | 1.22 | 1.85 |
| | | **თასი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 562 | ზლინი-ვიტკოვიცე | 1.65 | 4.4 | 3.2 | 1.2 | 1.08 | 1.85 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | ჩარლტონი-სიტი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11002 | კრისტალ პალასი-მიდლსბრო | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 3.0 |
| 11003 | არსენალი-ნორვიჩი | 1.7 | 12.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11005 | ბირმინგემი-ტოტენჰემი | 3.5 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.1 |
| 11006 | ლივერპული-ბოლტონი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11007 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1.7 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11009 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11010 | საუთჰემპტონი-ჩელსი | 7.5 | 10.0 | 20.0 | 8.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.0 |
| 11012 | ფულემი-პორტსმუთი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11013 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 4.0 | 10.0 | 20.0 | 4.8 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.6 |
| 11117 | არმინია-ლევერკუზენი | 4.4 | 10.0 | 20.0 | 5.0 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.5 |
| 11118 | ფრაიბურგი-ჰამბურგი | 6.5 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.6 | 20.0 | 10.0 | 2.5 |
| 11119 | ჰანსა-მაინცი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11120 | კაიზერსლაუტერნი-ჰანოვერი | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11121 | შალკე-ნიურნბერგი | 1.7 | 12.0 | 30.0 | 3.4 | 4.8 | 12.0 | 20.0 | 11.0 | 12.0 |
| 11123 | ვერდერი-შტუტგარტი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11124 | ვოლფსბურგი-ბაიერნი | 6.5 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.6 | 20.0 | 10.0 | [illegible] |
| 11125 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11126 | დორტმუნდი-ჰერტა | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11198 | ფიორენტინა-იუვენტუსი | 6.5 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.6 | 20.0 | 10.0 | 2.5 |
| 11200 | ლაციო-ლივორნო | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11201 | ბოლონია-ინტერი | 4.4 | 10.0 | 20.0 | 5.0 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11202 | მილანი-ბრეშა | 1.5 | 15.0 | 35.0 | 3.5 | 5.0 | 14.0 | 20.0 | 12.0 | 12.0 |
| 11204 | პალერმო-მესინა | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11205 | რეჯინა-პარმა | 3.1 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.5 |
| 11206 | უდინეზე-რომა | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11207 | კალიარი-სამპდორია | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 3.6 |
| 11208 | ლეჩე-სიენა | 2.9 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11209 | ატალანტა-კიევო | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 3.5 |
| 11231 | ალბასეტე-რეალი | 7.5 | 10.0 | 20.0 | 8.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.0 |
| 11233 | ატლეტიკო-მალიორკა | 2.0 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11234 | ბარსელონა-ბეტისი | 1.7 | 12.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | [illegible] |
| 11235 | ლევანტე-დეპორტივო | 4.0 | 10.0 | 20.0 | 4.8 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.6 |
| 11236 | მალაგა-ხეტაფე | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11237 | რასინგი-ესპანიოლი | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11238 | სევილია-ნუმანსია | 1.9 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 5.0 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11240 | სოსიედადი-ოსასუნა | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11241 | ვილიარეალი-ბილბაო | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11242 | სარაგოსა-ვალენსია | 3.5 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.1 |

**სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე**

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | ჩარლტონი-სიტი | 2.4 | 2.0 | 4.2 | 1.09 | 1.52 | 1.35 |
| 10002 | კრისტალ პალასი-მიდლსბრო | 2.8 | 2.0 | 3.2 | 1.16 | 1.49 | 1.23 |
| 10003 | არსენალი-ნორვიჩი | 1.3 | 3.0 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.18 |
| 10005 | ბირმინგემი-ტოტენჰემი | 2.8 | 2.0 | 3.2 | 1.16 | 1.49 | 1.23 |
| 10006 | ლივერპული-ბოლტონი | 2.1 | 2.0 | 4.4 | 1.02 | 1.42 | 1.37 |
| 10007 | მანჩესტერი-ბლეკბერნი | 1.5 | 2.6 | 7.0 | 1.0 | 1.23 | 1.89 |
| 10009 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 2.1 | 2.0 | 4.4 | 1.02 | 1.42 | 1.37 |
| 10010 | საუთჰემპტონი-ჩელსი | 5.3 | 2.2 | 1.8 | 1.55 | 1.34 | 1.0 |
| 10012 | ფულჰემი-პორტსმუთი | 2.4 | 2.0 | 4.2 | 1.09 | 1.52 | 1.35 |
| 10013 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 3.45 | 2.0 | 2.75 | 1.26 | 1.53 | 1.15 |
| 10117 | არმინია-ლევერკუზენი | 3.5 | 2.0 | 2.6 | 1.27 | 1.49 | 1.13 |
| 10118 | ფრაიბურგი-ჰამბურგი | 4.65 | 2.0 | 2.3 | 1.39 | 1.53 | 1.06 |
| 10119 | ჰანზა-მაინცი | 2.45 | 2.0 | 4.0 | 1.1 | 1.51 | 1.33 |
| 10120 | კაიზერსლაუტერნი-ჰანოვერი | 2.2 | 2.0 | 4.65 | 1.04 | 1.49 | 1.39 |
| 10121 | შალკე-ნიურნბერგი | 1.7 | 2.5 | 6.0 | 1.01 | 1.32 | 1.76 |
| 10123 | ვერდერი-შტუტგარტი | 2.45 | 2.0 | 4.15 | 1.1 | 1.54 | 1.34 |
| 10124 | ვოლფსბურგი-ბავარია | 4.5 | 2.0 | 2.25 | 1.38 | 1.5 | 1.05 |
| 10125 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 2.2 | 2.0 | 4.65 | 1.04 | 1.49 | 1.39 |
| 10126 | დორტმუნდი-ჰერტა | 2.8 | 2.1 | 3.45 | 1.2 | 1.54 | 1.3 |
| 10198 | ფიორენტინა-იუვენტუსი | 4.65 | 2.1 | 2.15 | 1.44 | 1.47 | 1.06 |
| 10200 | ლაციო-ლივორნო | 2.05 | 2.1 | 4.75 | 1.03 | [illegible] | 1.45 |
| 10201 | ბოლონია-ინტერი | 3.8 | 2.0 | 2.5 | [illegible] | [illegible] | 1.11 |
| 10202 | მილანი-ბრეშა | 1.3 | 3.0 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.18 |
| 10204 | პალერმო-მესინა | 2.1 | 2.0 | 4.5 | 1.02 | 1.43 | 1.38 |
| 10205 | რეჯინა-პარმა | 2.6 | 2.0 | 3.8 | 1.13 | 1.54 | 1.31 |
| 10206 | უდინეზე-რომა | 2.2 | 2.0 | 4.6 | 1.04 | 1.48 | 1.39 |
| 10207 | კალიარი-სამპდორია | 2.75 | 2.0 | 3.5 | 1.15 | 1.53 | 1.27 |
| 10208 | ლეჩე-სიენა | 2.4 | 2.0 | 4.2 | 1.09 | 1.52 | 1.33 |
| 10209 | ატალანტა-კიევო | 2.6 | 2.0 | 3.65 | 1.13 | 1.51 | 1.29 |
| 10231 | ალბასეტე-რეალი | 5.1 | 2.0 | 2.05 | 1.43 | 1.46 | 1.01 |
| 10233 | ატლეტიკო-მალიორკა | 1.8 | 2.1 | 5.4 | 1.0 | 1.35 | 1.54 |
| 10234 | ბარსელონა-ბეტისი | 1.7 | 2.2 | 6.0 | 1.0 | 1.32 | 1.6 |
| 10235 | ლევანტე-დეპორტივო | 3.1 | 2.0 | 2.85 | 1.21 | 1.48 | 1.17 |
| 10236 | მალაგა-ხეტაფე | 2.1 | 2.0 | 4.6 | 1.02 | 1.44 | 1.39 |
| 10237 | რასინგი-ესპანიოლი | 2.5 | 2.0 | 3.8 | 1.11 | 1.5 | 1.31 |
| 10238 | სევილია-ნუმანსია | 1.75 | 2.3 | 6.0 | 1.0 | 1.35 | 1.66 |
| 10240 | სოსიედადი-ოსასუნა | 2.25 | 2.0 | 4.3 | 1.05 | 1.47 | 1.36 |
| 10241 | ვილარეალი-ბილბაო | 2.2 | 2.0 | 4.5 | 1.04 | 1.47 | 1.38 |
| 10242 | სარაგოსა-ვალენსია | 2.7 | 2.0 | 3.3 | 1.14 | 1.48 | 1.24 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | ჩარლტონი-სიტი | 1.7 | 1.9 |
| 13002 | კრისტალ პალასი-მიდლსბრო | 1.7 | 1.9 |
| 13003 | არსენალი-ნორვიჩი | 1.9 | 1.7 |
| 13005 | ბირმინგემი-ტოტენჰემი | 1.7 | 1.9 |
| 13006 | ლივერპული-ბოლტონი | 1.7 | 1.9 |
| 13007 | მანჩესტერი-ბლეკბერნი | 1.9 | 1.7 |
| 13009 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.7 | 1.9 |
| 13010 | საუთჰემპტონი-ჩელსი | 1.9 | 1.7 |
| 13012 | ფულჰემი-პორტსმუთი | 1.7 | 1.9 |
| 13013 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 1.7 | 1.9 |
| 13117 | არმინია-ლევერკუზენი | 1.5 | 2.3 |
| 13118 | ფრაიბურგი-ჰამბურგი | 1.6 | 2.1 |
| 13119 | ჰანზა-მაინცი | 1.55 | 2.1 |
| 13120 | კაიზერსლაუტერნი-ჰანოვერი | 1.6 | 2.1 |
| 13121 | შალკე-ნიურნბერგი | 1.7 | 1.9 |
| 13123 | ვერდერი-შტუტგარტი | 1.6 | 2.1 |
| 13124 | ვოლფსბურგი-ბავარია | 1.55 | 2.1 |
| 13125 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 1.6 | 2.1 |
| 13126 | დორტმუნდი-ჰერტა | 1.6 | 2.1 |
| 13198 | ფიორენტინა-იუვენტუსი | 1.7 | 1.9 |
| 13200 | ლაციო-ლივორნო | 1.7 | 1.9 |
| 13201 | ბოლონია-ინტერი | 1.7 | 1.9 |
| 13202 | მილანი-ბრეშა | 1.9 | 1.7 |
| 13204 | პალერმო-მესინა | 1.7 | 1.9 |
| 13205 | რეჯინა-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 13206 | უდინეზე-რომა | 1.6 | 2.0 |
| 13207 | კალიარი-სამპდორია | 1.6 | 2.0 |
| 13208 | ლეჩე-სიენა | 1.6 | 2.0 |
| 13209 | ატალანტა-კიევო | 1.7 | 1.9 |
| 13231 | ალბასეტე-რეალი | 1.7 | 1.9 |
| 13233 | ატლეტიკო-მალიორკა | 1.7 | 1.9 |
| 13234 | ბარსელონა-ბეტისი | 1.9 | 1.7 |
| 13235 | ლევანტე-დეპორტივო | 1.7 | 1.9 |
| 13236 | მალაგა-ხეტაფე | 1.7 | 1.9 |
| 13237 | რასინგი-ესპანიოლი | 1.7 | 1.9 |
| 13238 | სევილია-ნუმანსია | 1.7 | 1.9 |
| 13240 | სოსიედადი-ოსასუნა | 1.7 | 1.9 |
| 13241 | ვილარეალი-ბილბაო | 1.7 | 1.9 |
| 13242 | სარაგოსა-ვალენსია | 1.7 | 1.9 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12001 | ჩარლტონი-სიტი | 1.7 | 1.9 |
| 12002 | კრისტალ პალასი-მიდლსბრო | 1.6 | 2.1 |
| 12003 | არსენალი-ნორვიჩი | 2.1 | 1.6 |
| 12005 | ბირმინგემი-ტოტენჰემი | 1.6 | 2.1 |
| 12006 | ლივერპული-ბოლტონი | 1.6 | 2.1 |
| 12007 | მანჩესტერი-ბლეკბერნი | 1.9 | 1.7 |
| 12009 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.7 | 1.9 |
| 12010 | საუთჰემპტონი-ჩელსი | 1.7 | 1.9 |
| 12012 | ფულჰემი-პორტსმუთი | 1.7 | 1.9 |
| 12013 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 1.7 | 1.9 |
| 12117 | არმინია-ლევერკუზენი | 2.0 | 1.6 |
| 12118 | ფრაიბურგი-ჰამბურგი | 2.2 | 1.55 |
| 12119 | ჰანზა-მაინცი | 1.9 | 1.7 |
| 12120 | კაიზერსლაუტერნი-ჰანოვერი | 1.9 | 1.7 |
| 12121 | შალკე-ნიურნბერგი | 2.2 | 1.55 |
| 12123 | ვერდერი-შტუტგარტი | 2.0 | 1.6 |
| 12124 | ვოლფსბურგი-ბავარია | 2.0 | 1.6 |
| 2125 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 2.0 | 1.6 |
| 12126 | დორტმუნდი-ჰერტა | 2.0 | 1.6 |
| 12198 | ფიორენტინა-იუვენტუსი | 1.7 | 1.9 |
| 12200 | ლაციო-ლივორნო | 1.7 | 1.9 |
| 12201 | ბოლონია-ინტერი | 1.9 | 1.7 |
| 12202 | მილანი-ბრეშა | 2.0 | 1.6 |
| 12204 | პალერმო-მესინა | 1.6 | 2.1 |
| 12205 | რეჯინა-პარმა | 1.6 | 2.0 |
| 12206 | უდინეზე-რომა | 1.9 | 1.7 |
| 12207 | კალიარი-სამპდორია | 1.9 | 1.7 |
| 12208 | ლეჩე-სიენა | 1.9 | 1.7 |
| 12209 | ატალანტა-კიევო | 1.6 | 2.0 |
| 12231 | ალბასეტე-რეალი | 1.9 | 1.7 |
| 12233 | ატლეტიკო-მალიორკა | 1.7 | 1.9 |
| 12234 | ბარსელონა-ბეტისი | 1.9 | 1.7 |
| 12235 | ლევანტე-დეპორტივო | 1.6 | 2.1 |
| 12236 | მალაგა-ხეტაფე | 1.6 | 2.0 |
| 12237 | რასინგი-ესპანიოლი | 1.7 | 1.9 |
| 12238 | სევილია-ნუმანსია | 1.9 | 1.7 |
| 12240 | სოსიედადი-ოსასუნა | 1.9 | 1.7 |
| 12241 | ვილარეალი-ბილბაო | 1.7 | 1.9 |
| 12242 | სარაგოსა-ვალენსია | 1.6 | 2.0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ჩაითვლება წაგებულად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | ჩარლტონი-სიტი | 1.75 | 2.1 |
| 14002 | კრისტალ პალასი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 14003 | არსენალი-ნორვიჩი | 1.05 | 2.9 |
| 14005 | ბირმინგემი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 14006 | ლივერპული-ბოლტონი | 1.65 | 2.3 |
| 14007 | მანჩესტერი-ბლეკბერნი | 1.06 | [illegible] |
| 14009 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.45 | 2.4 |
| 14010 | საუთჰემპტონი-ჩელსი | 2.5 | 1.3 |
| 14012 | ფულჰემი-პორტსმუთი | 1.7 | 2.2 |
| 14013 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 1.95 | 1.85 |
| 14117 | არმინია-ლევერკუზენი | 1.95 | 1.85 |
| 14118 | ფრაიბურგი-ჰამბურგი | 2.3 | 1.65 |
| 14119 | ჰანზა-მაინცი | 1.7 | 2.2 |
| 14120 | კაიზერსლაუტერნი-ჰანოვერი | 1.65 | 2.3 |
| 14121 | შალკე-ნიურნბერგი | 1.2 | 2.6 |
| 14123 | ვერდერი-შტუტგარტი | 1.7 | 2.2 |
| 14124 | ვოლფსბურგი-ბავარია | 2.3 | 1.65 |
| 14125 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 1.65 | 2.3 |
| 14126 | დორტმუნდი-ჰერტა | 1.8 | 2.0 |
| 14198 | ფიორენტინა-იუვენტუსი | 2.4 | 1.45 |
| 14200 | ლაციო-ლივორნო | 1.6 | 2.3 |
| 14201 | ბოლონია-ინტერი | 2.0 | 1.8 |
| 14202 | მილანი-ბრეშა | 1.03 | 2.9 |
| 14204 | პალერმო-მესინა | 1.65 | 2.3 |
| 14205 | რეჯინა-პარმა | 1.75 | 2.1 |
| 14206 | უდინეზე-რომა | 1.65 | 2.3 |
| 14207 | კალიარი-სამპდორია | 1.8 | [illegible] |
| 14208 | ლეჩე-სიენა | 1.7 | [illegible] |
| 14209 | ატალანტა-კიევო | 1.8 | [illegible] |
| 14231 | ალბასეტე-რეალი | 2.4 | [illegible] |
| 14233 | ატლეტიკო-მალიორკა | 1.3 | [illegible] |
| 14234 | ბარსელონა-ბეტისი | 1.3 | [illegible] |
| 14235 | ლევანტე-დეპორტივო | 1.9 | 1.9 |
| 14236 | მალაგა-ხეტაფე | 1.65 | 2.3 |
| 14237 | რასინგი-ესპანიოლი | 1.8 | 2.0 |
| 14238 | სევილია-ნუმანსია | 1.2 | [illegible] |
| 14240 | სოსიედადი-ოსასუნა | 1.7 | 2.2 |
| 14241 | ვილარეალი-ბილბაო | 1.45 | 2.4 |
| 14242 | სარაგოსა-ვალენსია | 1.85 | 1.95 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17001 | ჩარლტონი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17002 | კრისტალ პალასი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17003 | არსენალი-ნორვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | ბირმინგემი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | ლივერპული-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | მანჩესტერი-ბლეკბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17010 | საუთჰემპტონი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17012 | ფულჰემი-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17117 | არმინია-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17118 | ფრაიბურგი-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17119 | ჰანზა-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17120 | კაიზერსლაუტერნი-ჰანოვერი | 1.85 | 1.95 |
| 17121 | შალკე-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17123 | ვერდერი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17124 | ვოლფსბურგი-ბავარია | 1.85 | 1.95 |
| 17125 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 1.85 | 1.95 |
| 17126 | დორტმუნდი-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17198 | ფიორენტინა-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 17200 | ლაციო-ლივორნო | 1.85 | 1.95 |
| 17201 | ბოლონია-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17202 | მილანი-ბრეშა | 1.85 | 1.95 |
| 17204 | პალერმო-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17205 | რეჯინა-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17206 | უდინეზე-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17207 | კალიარი-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17208 | ლეჩე-სიენა | 1.85 | 1.95 |
| 17209 | ატალანტა-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17231 | ალბასეტე-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17233 | ატლეტიკო-მალიორკა | 1.85 | 1.95 |
| 17234 | ბარსელონა-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17235 | ლევანტე-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17236 | მალაგა-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17237 | რასინგი-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17238 | სევილია-ნუმანსია | 1.85 | 1.95 |
| 17240 | სოსიედადი-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17241 | ვილარეალი-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17242 | სარაგოსა-ვალენსია | 1.85 | 1.95 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | ჩარლტონი-სიტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15002 | კრისტალ პალასი-მიდლსბრო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15003 | არსენალი-ნორვიჩი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15005 | ბირმინგემი-ტოტენჰემი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15006 | ლივერპული-ბოლტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15007 | მანჩესტერი-ბლეკბერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15009 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15010 | საუთჰემპტონი-ჩელსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15012 | ფულჰემი-პორტსმუთი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15013 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15117 | არმინია-ლევერკუზენი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15118 | ფრაიბურგი-ჰამბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15119 | ჰანზა-მაინცი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15120 | კაიზერსლაუტერნი-ჰანოვერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15121 | შალკე-ნიურნბერგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15123 | ვერდერი-შტუტგარტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15124 | ვოლფსბურგი-ბავარია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15125 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15126 | დორტმუნდი-ჰერტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15198 | ფიორენტინა-იუვენტუსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15200 | ლაციო-ლივორნო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15201 | ბოლონია-ინტერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15202 | მილანი-ბრეშა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15204 | პალერმო-მესინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15205 | რეჯინა-პარმა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15206 | უდინეზე-რომა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15207 | კალიარი-სამპდორია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15208 | ლეჩე-სიენა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15209 | ატალანტა-კიევო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15231 | ალბასეტე-რეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15233 | ატლეტიკო-მალიორკა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15234 | ბარსელონა-ბეტისი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15235 | ლევანტე-დეპორტივო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15236 | მალაგა-ხეტაფე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15237 | რასინგი-ესპანიოლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15238 | სევილია-ნუმანსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15240 | სოსიედადი-ოსასუნა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15241 | ვილარეალი-ბილბაო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15242 | სარაგოსა-ვალენსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## ფრის გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | ჩარლტონი-სიტი | 1.4 | 2.3 |
| 16002 | კრისტალ პალასი-მიდლსბრო | 1.6 | 1.9 |
| 16003 | არსენალი-ნორვიჩი | 1.03 | 6.0 |
| 16005 | ბირმინგემი-ტოტენჰემი | 1.6 | 1.9 |
| 16006 | ლივერპული-ბოლტონი | 1.3 | 2.8 |
| 16007 | მანჩესტერი-ბლეკბერნი | 1.05 | 5.7 |
| 16009 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.3 | 2.8 |
| 16010 | საუთჰემპტონი-ჩელსი | 3.5 | 1.2 |
| 16012 | ფულჰემი-პორტსმუთი | 1.4 | 2.5 |
| 16013 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 1.9 | 1.68 |
| 16117 | არმინია-ლევერკუზენი | 1.9 | 1.6 |
| 16118 | ფრაიბურგი-ჰამბურგი | 2.5 | 1.3 |
| 16119 | ჰანზა-მაინცი | 1.4 | 2.4 |
| 16120 | კაიზერსლაუტერნი-ჰანოვერი | 1.3 | 2.65 |
| 16121 | შალკე-ნიურნბერგი | 1.12 | [illegible] |
| 16123 | ვერდერი-შტუტგარტი | 1.4 | 2.4 |
| 16124 | ვოლფსბურგი-ბავარია | 2.65 | 1.3 |
| 16125 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 1.35 | 2.6 |
| 16126 | დორტმუნდი-ჰერტა | 1.6 | 1.9 |
| 16198 | ფიორენტინა-იუვენტუსი | 2.7 | 1.3 |
| 16200 | ლაციო-ლივორნო | 1.2 | 3.2 |
| 16201 | ბოლონია-ინტერი | 2.1 | 1.5 |
| 16204 | პალერმო-მესინა | 1.3 | 2.8 |
| 16205 | რეჯინა-პარმა | 1.45 | 2.3 |
| 16206 | უდინეზე-რომა | 1.3 | 2.8 |
| 16207 | კალიარი-სამპდორია | 1.5 | 2.2 |
| 16208 | ლეჩე-სიენა | 1.4 | [illegible] |
| 16209 | ატალანტა-კიევო | 1.5 | 2.2 |
| 16231 | ალბასეტე-რეალი | 2.9 | 1.25 |
| 16233 | ატლეტიკო-მალიორკა | 1.15 | 3.8 |
| 16234 | ბარსელონა-ბეტისი | 1.13 | 4.0 |
| 16235 | ლევანტე-დეპორტივო | 1.85 | 1.8 |
| 16236 | მალაგა-ხეტაფე | 1.3 | [illegible] |
| 16237 | რასინგი-ესპანიოლი | 1.45 | 2.3 |
| 16238 | სევილია-ნუმანსია | 1.13 | 4.0 |
| 16240 | სოსიედადი-ოსასუნა | 1.35 | 2.6 |
| 16241 | ვილარეალი-ბილბაო | 1.3 | 2.7 |
| 16242 | სარაგოსა-ვალენსია | 1.65 | 1.9 |

# საქართველოს ჩემპიონატი



ამ უქმეებზე რუსთავში სათასო ბუმია. შაბათს „ქიმიკოსთა" დარბაზი საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალებს უმასპინძლებს, კვირას კი ფინალია. ტურნირის პირველი ეტაპიც რუსთავში გაიმართა, მაგრამ იმ მატჩებს ინტრიგა არ ახლდა — თბილისის „დინამომ" ბოლო წამს უარი თქვა თასისთვის თამაშზე და დარჩენილმა ოთხმა გუნდმაც იმისთვის ჩაითამაშეს ერთი წრე, ნახევარფინალებში რომ დაწყვილებულიყვნენ. ჰოდა, დაწყვილდნენ კიდეც: „თუჯი" — „ავიამშენი", „სტუ-ჯეოსელი" — თსუ. სწორედ ამ გუნდების მწვრთნელები შეიკრიბნენ გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში" წინასათასო პრესკონფერენციაზე.

ჟურნალისტის სტატუსით „სპორტკაფეში" „მაკაბის" მთავარი მწვრთნელი ჯამლეტ ხუხაშვილიც მოვიდა, რომელმაც პირველი კითხვის დასმის პატივი ირგუნა: „ნახევარფინალური წყვილები კი ცნობილია, მაგრამ თქვენი ნება რომ იყოს, მეტოქედ რომელ გუნდს ისურვებდით?"

## თასით დალიე, შეგერგება
## რუსთავში ოთხნი შეიყარნენ

ირაკლი პერტაია

**ნუგზარ ჭეიშვილი**, სტუ-ს მთავარი მწვრთნელი:

— საერთოდ, გამწარებულ კაცთან უფრო რთულია ბრძოლა, ვიდრე დალხენილთან. ამიტომაც თსუ-სთან ხუმრობა არ შეიძლება. ეს გუნდი სეზონის დაწყების შემდეგ დაპირებებით საზრდოობს და ამის გამო ძალიან დაიღალა. ამიტომაც თსუ-სგან ყველაფერია მოსალოდნელი. სხვებზე გაბრაზებულები მეტოქეებზე იყრიან ჯავრს და აგერ, ჩემპიონატში სამივე ლიდერი დაამარცხეს. მიუხედავად ამისა, ჩვენ არ ვისურვებდით სხვა მეტოქეს, რადგან თასის მოგება გვინდა და ყველა მეტოქეს უნდა ვძლიოთ.

**მამუკა ტურაშვილი**, თსუ-ს მთავარი მწვრთნელი.

— მეტოქის არჩევას აზრი არ აქვს. ეს პლეი ოფია, თუ ერთ ეტაპს გაივლი და ვინმესი გეშინია, მერე ხომ მაინც შეხვდები მას. ჩვენ ვეთამაშებით სტუ-ს და რაც მოსახდენია, მოხდება. ისე კი ვიტყვი, რომ ამ მატჩისთვის ისე ვერ ვართ მომზადებულები, როგორც საჭიროა. სამი დღეა, ორი წამყვანი მოთამაშის გარეშე ვვარჯიშობთ. ირაკლი მაისურაძე ხელს იტკივებს, ნუგზარ კოკოლაშვილი კი ჩემთვის უცნობი მიზეზის გამო არ ჩანს. თუმც ისეთი მიზეზი არსებობს, რომ სულ რომ არ მოვიდნენ ვარჯიშზე, მე პირადად ვერ გავამტყუნებ. ჩვენს გუნდში ხელფასები არ რიგდება და მხოლოდ დაპირებებით მთლიანი სეზონის ჩატარება თითქმის წარმოუდგენლად მიმაჩნია. სტუ-სთან ნახევარფინალურ მატჩზე კი ბევრსაც ვერაფერს ვიტყვი. ალბათ კარგი თამაში იქნება და მაყურებელი ისიამოვნებს.

**ლევან მოსეშვილი**, „თბილავიამშენის" მთავარი მწვრთნელი:

— თსუ-ს დამარცხება ძნელია და ეს ჩვენ ჩემპიონატის ბოლო ტურში ვერ მოვახერხეთ. არც სტუ-ა ხელსაყრელი მეტოქე, რადგან მასში რუსთაველთა საყვარელი კალათბურთელები — რამაზ გოგოპერიშვილი და ირაკლი ჯაფარიძე თამაშობენ და მათ ბევრი გულშემატკივარი ეყოლებათ. „თუჯი" გვერგო და იყოს „თუჯი", მაგრამ არც ისეა საქმე, ბერძენ და თურქ ფეხბურთელთა მწვრთნელებივით რომ ვთქვა, მოსაგებად ჩამოვედი რუსთავში-მეთქი.

ისე კი, მინდა, აღვნიშნო, რომ თასის გათამაშების პირველი ეტაპი სრულიად უინტერესოდ ჩატარდა, რადგან არ იყო ინტრიგა. ჩვენმა გუნდმა ყველა თამაში მოიგო და ამით არაფერი შეღავათი არ მივიღეთ — რუსთავის გუნდს რუსთავში ვეთამაშებით. კარგია, თასის გათამაშება რომ ქვემო ქართლში იმართება, ეს კალათბურთის პოპულარიზაციას უწყობს ხელს, მაგრამ აქ საერთოდ არ არის გათვალისწინებული „ავიამშენის" ინტერესები. პირველი ეტაპი რუსთავში იყო და პლეი ოფფინალიც იქაა, რაც „თუჯს" დიდ უპირატესობას ანიჭებს. ჩვენს სპონსორ ქარხანა „თბილავიამშენში" 20 ათასი კაცია დასაქმებული და მატჩი თბილისში რომ დანიშნულიყო, ამ ხალხის მეათედი მაინც გამოთქვამდა თამაშებზე მოსვლის სურვილს, თუ მეტი არა. მაგრამ არ უშავს, ალბათ მომავალში ამასაც გაითვალისწინებენ.

**ამირან ხარიძე**, „თუჯის" აღმასრულებელი დირექტორი:

— მთავარ მწვრთნელ ომარ ხმელიძეს ოჯახური პრობლემები აქვს და შაბათს გუნდს ვერ გაუძღვება. სამაგიეროდ, მაყურებელთა მხარდაჭერა გვექნება. ვეცდებით, „ავიამშენი" დავამარცხოთ და ფინალში გავიდეთ. მით უმეტეს, ჩემპიონატის რუსთაულ მატჩში ლევან მოსეშვილის გუნდთან მხოლოდ 64:66 წავაგეთ.

*თავიანთი აზრი გამოთქვეს მოთამაშეებმაც, რომელთაგან პირველი სიტყვა სტუ-ელ* **გიორგი მარკოიშვილს** *ერგო:*

„ძალიან სერიოზულად ვეკიდებით თსუ-სთან მატჩს. თასის პირველ ეტაპზე ამ გუნდმა დაგვამარცხა და ვეცდებით, რევანში ავიღოთ კარგი და დაძაბული მატჩი უნდა გამოვიდეს, ამის დიდი იმედი მაქვს."

**გიორგი გაფრინდაშვილი**, თსუ-ს გამთამაშებელი:

„სანახაობრივად ლამაზი შეხვედრა იქნება. ორივე გუნდი საინტერესოდ თამაშობს. ძალიან ძნელია წინასწარ იმის თქმა, თუ ვინ გავა ფინალში. ვფიქრობ, ორივე გუნდს უდიდესი ძალისხმევა მართებს წარმატების მისაღწევად."

**თორნიკე ნინიაშვილი** „ავიამშენის" ფორვარდი:

„მასპინძლებთან გვიწევს თამაში და ეს არა მხოლოდ „ავიამშენისთვის", ნებისმიერი გუნდისთვის არახელსაყრელია. რუსთაველები ყველაფერს ილონებენ რათა გაიმარჯვონ და არც ჩვენც ვართ უკან დამხევნი."

**არჩილ ქლენტი**, „თუჯის" გამთამაშებელი:

„ასარჩევად რომ გვქონდეს საქმე, „ავიამშენს" ნაღდად არ ვისურვებდი მეტოქედ. ეს არის საკმაოდ დაბალანსებული გუნდი, რომელსაც დიდი გამოცდილებაც უმაგრებს ზურგს. პირველ რიგში, რისი იმედიც მაქვს, ქომაგის მხარდაჭერაა, მაყურებელმა მთავარი მწვრთნელის არყოფნა არ უნდა გვაგრძნობინოს".

*ბოლოსკენ „ავიატორთა" მწვრთნელმა ერთი რეპლიკასავით აზრი გამოთქვა მოახლოებულ მატჩებთან დაკავშირებით:*

„კარგი იქნება, ნახევარფინალურ და ფინალურ მატჩებს საჭირო რაოდენობის პოლიციელი თუ დაიცავს. ხომ დაინახეთ, რა მოხდა საბერძნეთთან და თურქეთთან საფეხბურთო მატჩებისას. არეულობისგან არავინ და არასდროს არაა დაზღვეული. რუსთავში ემოციური ქომაგობა იციან, რაც კარგია, მაგრამ გადამეტებულად თუ ვინმე იაქტიურებს, ამისგანაც უნდა იყვნენ მატჩის მონაწილეები დაცულნი."

*ისე არც სტუ-ს ეყოლება რუსთავში ნაკლები ქომაგობა. ტექნიკოსთა ხელმძღვანელობამ თავისი გუნდის ქომაგებს ამ ბოლო დროს ორგანიზება გაუკეთა და ფანკლუბის მაგვარი ორგანიზაცია ჩამოყალიბა. გულშემატკივართა ამ ჯგუფმა სტუ-ს ჩემპიონატის გასულ ტურში „დინამოსთან" უქომაგა, მაგრამ ტექნიკოსებს ვერაფერი უშველა. ენახოთ, ახლა როგორი ფეხი ექნებათ სტუ-ს ფანებს. მათთვის რუსთავის „ქიმიკოსთა" 800-ადგილიან დარბაზში 180 ბილეთია დაჯავშნული.*

ნახევარფინალური მატჩები შაბათს 13 და 15 საათზე გაიმართება. ჯერ თსუ — სტუ გავა სარბიელზე, შემდეგ „თუჯი" — „ავიამშენი". ფინალი კვირას 13 საათზეა დანიშნული.

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

## ზაზამ ნიჭას რეკორდი შეუშვნა



— 30 მარტი —

**მილუოკი 109:113 გოლდენ სტეიტი**

მილუოკი: უილიამსი (21 ქულა, 10 პასი), რედი (24), კუკოჩი (15), სმიტი (10), გაძურიჩი (8); ფაჩულია (27 წუთი, 15 ქულა, 5 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება), სტრიკლენდი (6), გოლდვაირი (5), გეინისი (3), ფიზერი (2), ბუთი

გოლდენ სტეიტი: დევისი (25 ქულა, 15 პასი), რიჩარდსონი (18), დანლივი (8), მერფი (18 ქულა, 14 მოხსნა), ფოილი (8); პიეტრუსი (21), ფიშერი (7), ჩაბაარკაპა (6), ბიედრინსი (2)

*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

**ბოსტონი 100:112 დალასი**

ბოსტონი: პირსი (21), უოლკერი (18), დევისი (18)

დალასი: ნოვიცკი (36), ვან ჰორნი (21), ფინლი (18)

**შარლოტი 99:102 ჩიკაგო**

შარლოტი: ვოლესი (23), ოკაფორი (17 ქულა, 10 მოხსნა), ბრეზეცი (17 ქულა, 10 მოხსნა)

ჩიკაგო: გორდონი (35), პარგო (16), ჰარინგტონი (16)

**ორლანდო 108:96 ტორონტო**

ორლანდო: ჰილი (21), ჰოვარდი (18), კატო (17), ფრენსისი (16), გარიტი (16)

ტორონტო: ალსტონი (17), ბოში (16 ქულა, 11 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი 95:78 კლიპერსი**

ნიუ ჯერსი: კარტერი (31), კრსტიჩი (17)

კლიპერსი: მეჯიტი (17)

**დეტროიტი 99:82 საკრამენტო**

დეტროიტი: ჰამილტონი (21), ბ. უოლესი (19 ქულა, 14 მოხსნა)

საკრამენტო: ბიბი (26), სტოიაკოვიჩი (15)

**სან ანტონიო 89:76 სიეტლი**

სან ანტონიო: პარკერი (28), ჯინობილი (15)

სიეტლი: მიურეი (17), ალენი (14)

**იუტა 98:109 დენვერი**

იუტა: ოქური (23 ქულა, 17 მოხსნა), ჰარპრინგი (16)

დენვერი: მილერი (24), კემბი (23 ქულა, 16 მოხსნა), ენტონი (23)

**ფინიქსი 116:87 ფილადელფია**

ინიქსი: მარიონი (26), რიჩარდსონი (20), ჯონსონი (20), ჯეკსონი (19), ნეში (12 ქულა, 13 მოხსნა, 12 პასი)

ფილადელფია: აივერსონი (26)

**პორტლენდი 84:100 ჰიუსტონი**

პორტლენდი: აბდურ-რაჰიმი (21), აუთლოო (15)

ჰიუსტონი: მინგი (29), მაკგრეიდი (26 ქულა, 10 მოხსნა)

**ვაშინგტონი 102:99 ატლანტა**

ვაშინგტონი: არენასი (36), ჰიუზი (26), ტომასი (16)

ატლანტა: ჰარინგტონი (20), სმიტი (17), ლუ (15)

**გუშინწინ** ამერიკის ქალაქებში თერთმეტი მატჩი გაიმართა, რომელთაგან ჩვენთვის, ქართველთათვის ყველაზე საინტერესოს ვისკონსინის შტატის მთავარქალაქმა მილუოკიმ უმასპინძლა. სუსხიან მილუოკიში მზიანი ოკლენდის „გოლდენ სტეიტი" ჩავიდა და, სამწუხაროდ, კვლავ არ შედგა ქართული დერბი. ნიკოლოზ ცქიტიშვილმა ისევ არ ითამაშა, მილუოკელმა ზაზა ფაჩულიამ კი ბურთაობით გული იჯერა.

ეს მატჩი ძალიან წააგავდა ამ გუნდების სამი-ოთხი დღის წინანდელ შეხვედრას. მართალია, ახლა ოვერტაიმი არ ყოფილა, მაგრამ გამარჯვებული ახლაც ბოლო წუთებზე გამოვლინდა და ის კვლავ „გოლდენ სტეიტია"

ეს წაგება „ხარირმებს" ძალიანაც არ დასწყვეტდა გულს. რაკი ამ ბოლო ხანებში იმდენი თამაში წააგეს, საპლეიოფო იცნება გაუვარდისფერდათ და უკვე მომდევნო სეზონისთვის ილესავდნენ რქებს. მილუოკელებს მით უფრო უნდა ჰქონდეთ მომავლის იმედი, რომ მათ რიგებში არაერთი იმედისმომცემი ახალგაზრდა ჰყავთ. მო უილიამსი, დან გაძურიჩი, რის გეინისი და... რა თქმა უნდა, ზაზა ფაჩულია. ქართველმა ცენტრმა „გოლდენ სტეიტთან" ჩინებულად ითამაშა და ამერიკული კარიერის ხარეკორდო 15 ქულა მოიხაგრა.

ფაჩულიას აქამდე ორჯერ მოუგროვებია 14 ქულა. მან ეს ბარიერი გუშინწინ ცქიტიშვილის გუნდთან დაძლია, რომელსაც, სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ 13 ქულა ჩაუგდო. ამასთან ქართველმა ცენტრმა სხვა ყველა მარგ სტატისტიკურ მაჩვენებელს გაუსინჯა გემო — 5 ბურთი მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 დააფარა და 2 შედეგიანი გადაცემაც მიითვალა. თან ეს ყველაფერი ზაზამ ისე მოახერხა, რომ ბურთი არ დაუკარგავს.

15 ქულა კარგია, მაგრამ ყველაფერს ის ჯობს, რომ „მილუოკის" ქართველი ცენტრი კვირიდან კვირამდე უმატებს, რაც მის სათამაშო დროსა და სტატისტიკურ მაჩვენებლებზეც აისახება. ახლა „მილუოკიში" ალბათ ბოლომდე სწამთ ქართველის, რაკი იმ სიტყვიერ ავანსებს, რაც მასზე „ბაქსის" ხელმძღვანელობამ სეზონის დასაწყისში გასცა, ფაჩულია გადამეტებით ასრულებს.

ეგაა, ზაზამ ხუთეულში ჯერაც ვერ მოიპოვა ადგილი, მაგრამ ეს სულაც არ აწუხებს. ფაჩულია სათადარიგო სკამიდან შესულიც იუმჯობესებს სტატისტიკას და მის კვალზე იმიჯს. რეგულარულ ჩემპიონატში დარჩენილ მატჩებში მას კარგი შანსი აქვს, საბოლოოდ დაიმკვიდროს ნბა-ს სოლიდური ცენტრის სახელი.

ირაკლი პერტაია



2000 წლის ცხრამეტწლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე დიმიტრი იაშვილმა იქართველა. ახლა შარლ ედუარდის დროა

# ახალგაზრდები ირლანდიით იწყებენ

**დღეს** სამხრეთ აფრიკულ დურბანში მსოფლიოს თორმეტი უძლიერესი ცხრამეტწლამდელთა ნაკრები თასისთვის ბრძოლას გააჩაღებს. ელიტარულ A ჯგუფში პატარა ბორჯღალოსნებიც ირიცხებიან და ბოლო წლებში ძლიერი გუნდის სახელის დაგდებაც მოასწრეს. ლევან მაისაშვილისა და ბადრი ბიხუას სამწყსოს თასისმოგებას ვერავინ მოსთხოვს. მათი მთავარი ამოცანა კვლავ ჯგუფში დარჩენა იქნება, თუმც იმედია, შარშანდელი შედეგის გაუმჯობესებას მაინც მოახერხებენ.

მსოფლიოს თასს შარშანაც დურბანმა უმასპინძლა და ჩვენებურებმა მეათე ადგილი დაიკავეს. გადამწყვეტ ბრძოლაში იტალიელებს სძლიეს, რითაც B ჯგუფის საგზური გამოუწერეს. ამჯერად საქართველოს სამი ჯგუფური შეხვედრის ჩატარება მოუწევს. დღეს ირლანდიას ებურთავება. 5-ში საფრანგეთს და 9-ში არგენტინას. სწორედ ამ თამაშების შედეგებით გაირკვევა, თუ რომელი ადგილისთვის ვიბრძოლებთ.

ჯგუფური ეტაპის ჩატარების შემდეგ საუკეთესო ოთხი ნაკრები თასისთვის განაგრძობს ბრძოლას, ხოლო ბოლო ოთხი ელიტაში დასარჩენად. სავარაუდოდ, ყველაზე მნიშვნელოვანი მეოთხე მატჩი უნდა იყოს, რომელიც 13 აპრილს გაიმართება. საბოლოო ადგილების მიხედვით კი გუნდები 17 აპრილს დალაგდებიან.

მაისაშვილ-ბიხუას გუნდი სამხრეთ აფრიკას თითქმის ორი კვირით ადრე ესტუმრა და კარგი წინასაჩემპიონატო შეკრების გავლაც მოასწრო თავისი ორი ამხანაგური მატჩით. განწყობაც, როგორც ყოველთვის, საბრძოლოა.

აფრიკული შემადგენლობიდან ერთი მორაგბის გარდა ყველა საქართველოს ჩემპიონატში თამაშობს. ლეგიონერი მიშელ იაშვილის უმცროსი ვაჟი შარლ-ედუარდია. ამ ცხრამეტი წლის ბიჭს საქართველოს ნაკრების მაისურა შარშან, იტალიაში გამართულ თვრამეტწლამდელთა ევროპის პირველობაზეც მოურგია და მეათე ნომრად თამაშებს.

ოთარ მაღლაკელიძე

**საქართველოს ნაკრები**

**შერკინება**

ოთარ ტურაშვილი
ანტონ ფეიქრიშვილი
გიორგი სოსელია
ბექა შეყლაშვილი
ბექა მექოქიშვილი
დავით ქუბრიაშვილი
დავით დაუშვილი
ლევან დარასელია
გალაქტიონ ძაგნიძე
ირაკლი დაუშვილი
ლაშა თავართქილაძე
სიმონ მაისურაძე
ალეკო მაღლაკელიძე
გიორგი საძაგლიშვილი

**უკანა ხაზი**

გიორგი ბეგაძე
ლუკა კილასონია
ლევან ხუხუნაიშვილი
შარლ-ედუარდ იაშვილი
დიმიტრი მესხიშვილი
დავით გურგენიძე
ვილიამ კაიფაჯიანი
გიორგი მჭედლიშვილი
მამუკა ნინიძე
ირაკლი ჩხიკვაძე
ალექსანდრე თოდუა
ირაკლი გეგენავა



# კიმი განთესილთმავალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**NASDAQ-100 OPEN**

მაიამი. მაგარსაფარი

კაცები. საპრიზო 3,2 მლნ. $

**მეოთხედფინალი**

**რაფაელ ნადალი** (29, ესპანეთი) — ტომას იოჰანსონი (25, შვედეთი) 6:2 6:4; **დავიდ ფერერი** (ესპანეთი) — დომინიკ ჰრბატი (26, სლოვაკეთი) 6:2 6:3

ქალები. საპრიზო 3,115 მლნ $

**ამელი მორეზმო** (1, საფრანგეთი) — ანა ივანოვიჩი (სერბეთი) 6:1 6:4; **კიმ კლაისტერსი** (ბელგია) — ელენა დემენტიევა (4, რუსეთი) 6:2 6:1



კიმ კლაისტერსი

**კიმ კლაისტერსი** კვლავაც უებროდ განაგრძობს ზეპურ ამქარში დაბრუნებას. გუშინ მას საათზე ნაკლები დასჭირდა საიმისოდ, რათა უამრავი შეცდომის დამშვები ელენა დემენტიევა გაეცამტვერებინა და თავისი ზედიზედ მეთორმეტე გამარჯვება მიეთვალა. სათნო რუსგოგო ტურნირზე კიმის მეოთხე განთესილი მსხვერპლი გახლავთ და ისიც უნდა ითქვას, რომ არც ერთ ამათგანთან ფუმფულა ბელგიელს სეტიც არ დაუთმია. მაჯის ტრავმის გამო ხანგრძლივად ნაუქმარმა კიმმა წინა კვირაში ინდიანუელსობაზე გალაღების შემდეგ რეიტინგსიის 133-ე საფეხურიდან 38-ზე აინაცვლა, ხოლო კიბისკეინურ ნახევარფინალში გასვლის კვალობაზე ის უკვე ზეოცდაეთეულამდეც უნდა ალზევდეს. ფინალის საგზურს კი მას ტურნირის მთავარგანთესილი ამელი მორეზმო შეეცილება, ვინაც მასთან ზედიზედ უკვე ექვს შეხვედრაში დამარცხებულა. მორეზმოს შანსი აქვს, რომ, თუკი ფინალში ამქრის ზეხუთეულელს მოუგებს, სამომავალკვირაო რეიტინგსიაში ამყამინდელი პირველოსნის, ლინდსი დევენპორტის ალაგი დაიკავოს. მაგრამ საამისოდ, გარდა იმისა, რომ თავად იგი უნდა გასცდეს კლაისტერს, მეორე ნახევარფინალში მეორე ნომრად განთესილმა მარია შარაპოვამ რანგით მეცხრე ჩოგნის მქნეველ ვინუს უილიამსს უნდა აჯობოს. ამ ორივე წინაპირობის თანხვედრა კი — რომ იტყვიან — გრამოფონშია. კიმთან დაპირისპირება კი მორეზმომ 17 წლის სერბი ანა ივანოვიჩის ძლევით გაინაღდა. ეს ივანოვიჩი, რომელმაც ტურნირის მსვლელობისას ორი ბობოლა რუსი — ნადია პეტროვა და სვეტლანა კუზნეცოვა დააყუდა, წინა კვირაში რეიტინგსიის 97-ე საფეხურზე იდგა, ნაამკვირავებს კი უკვე ზეორმოცდაათეულში იდგება. მორეზმოს წინაალმდეგ მას დაშავებულმა კოჭმა და ნერვიულობამ შეუშალა ჩოგანი, თორემ ეგებ ეგრე იოლად არ დამარცხებულიყო.

რაც შეეხება კაცთა განყოფილებას, გუშინდელი მეოთხედფინალების შედეგად საქმე ისე წაეწყო, რომ ფინალში ერთი ესპანელი მაინც იჩოგნავებს. ეს მას შემდეგ გაირკვა, რაც 18 წლის ბრგე მუჩაჩო რაფაელ ნადალმა ავსტრალიობის ოდინდელი ჩემპიონი ტომას იოჰანსონი გასხლა, მისმა თვისტომმა დავიდ ფერერმა კი — ჩეხი დომინიკ ჰრბატი. ნადალს ასე შორს აქამდე არც ერთ მასტერსტურნირზე არ გაეღწია — იქნებ თქვენც გაიხსენოთ, მისი აქამომდელი საუკეთესო მასტერსშედეგი შარშან იქაურსავე მეოთხე წრეში თამაში იყო, რისი უფლებაც მან მესამეში თვით როჯერ ფედერერის ძლევით მოიმკა. ახლა კი ის კიდევ უფრო მძლავრ ფორმაშია და ვინ იცის, ფინალში ვინძლო მისი და როჯერის მორიგი კიბისკეინური დაპირისპირებაც ვიხილოთ. შეგახსენებთ, რომ ამქრის ფასკუნჯს გუშ-გვიან-ღამ ტიმ ჰენმანთან უნდა ემეოთხედფინალა, მაშინ როცა ტურნირის ექვსგზის ჩემპიონი ანდრე აგასი ოტროვეველა თვისტომ ტაილორ დენტს უნდა შებმოდა.

არტემ ჩაჩანიძე



რაფაელ ნადალი

მთის თხილამურობა

# სოფიო ახმეტელი ბელგიაში პირველია



**ხუთიოდე** დღის წინ ვწერდით ქართველ სამთომოთხილამურე სოფიო ახმეტელის წარმატების შესახებ. მან საფრანგეთის კურორტ მერიბელის ტრასაზე გამართულ ინგლისის ღია ჩემპიონატში გიგანტურ სლალომში მეორე ადგილი დაიკავა.

სოფო ამ დღეებში იქვე საფრანგეთში, კურშაველის ფერდობებზე ბელგიის ღია ჩემპიონატში გამოვიდა და უფრო დიდი წარმატებაც იზეიმა. 24 წლის თბილისელმა ოსტატმა კვლავ იყოჩაღა „გიგანტში", ორივე ჩასრიალებაზე 30 მონაწილეს შორის საუკეთესო დრო აჩვენა და ბელგიის ჩემპიონობა მოიპოვა. ახმეტელმა ორი ცდის ჯამში უზარმაზარი უპირატესობით, 4,5 წამით ჩამოიტოვა მეორე-მესამე ადგილებზე გასული ბელგიელები — მაიტე ალაერტსი და კიმ გელუიკენსი.

„ჩვეულებრივ" სლალომში სოფოს ხელი მოეცარა, ერთ-ერთი კარი გამოტოვა და ბრძოლას გამოეთიშა.

იმასაც აღვნიშნავთ, რომ ვაჟთა გიგანტურ სლალომში ორივე ცდაზე თანაბრად, ჩავარდნის გარეშე ისრიალა ბაკურიანელმა იასონ აბრამაშვილმა. 17 წლის ბიჭისთვის 108 მონაწილეს შორის მერვე ადგილი ჩინებული შედეგია.

**გია ახალაძე**

წყალბურთი

# ისევ მეორეზე

**კიევში** დასრულდა უკრაინის წყალბურთელთა ღია ჩემპიონატის მეოთხე ტურის ბოლო შეხვედრებიც. შეჯიბრებაში თბილისელმა ახალგაზრდა წყალბურთელებმა, რომლებიც საქართველოს სახელით გამოდიოდნენ, მოლდავეთის გუნდს სძლიეს 9:7.

ამ შეხვედრაში ქართველი წყალბურთელები თავიდანვე დაწინაურდნენ და მთელი თამაშის განმავლობაში 3-4 ბურთის სხვაობით იგებდნენ. ჩვენი წყალბურთელებიდან თავი ყველაზე მეტად გამოიჩინა ზურაბ რურუამ, რომელმაც მეტოქის კარი სამჯერ დალაშქრა. მის გარდა ბურთები გაიტანეს: გურამ კოტარიამ, ილია ბუტიკაშვილმა (2-2), ბექა გენძეხმ და ელდარ რაფავამ (1-1). ამგვარად ჩვენმა წყალბურთელებმა კიევში სამი შეხვედრიდან ორში გაიმარჯვეს, ერთში კი დამარცხდნენ.

ამ ტურში მარიუპოლის პირველმა გუნდმა, ისე როგორც მთელი ჩემპიონატის განმავლობაში, კვლავ გაიმარჯვა და ტურნირს ერთპიროვნულად ლიდერობს. საქართველოს გუნდი მას ხუთი ქულით ჩამორჩება და კვლავ მეორე ადგილზეა. თავის მხრივ, ჩვენს წყალბურთელებზე შვიდი ქულით ნაკლები აქვთ მესამე ადგილზე მყოფ კიევის დინამოელებს.

**ავთანდილ ტყვიშელი**

ოლიმპიზმი

# პირველი საპირველო აგური



პეკინის საცურაო კომპლექსის მაკეტის პრეზენტაციაზე

**პეკინში,** რომელიც 2008 წლის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ ემზადება, 18-ათასკაციანი კალათბურთელთა სასახლის მშენებლობისთვის პირველი აგური დაიდო.

ამ სასახლის მშენებლობა, რომელიც 63 ათას კვადრატულ მეტრზე მიმდინარეობს 2007 წლის ბოლოს დასრულდება. იმავდროულად ქალაქ სინდაოში, რომელიც პეკინის სამხრეთ-აღმოსავლეთით ყვითელი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს, დაიწყო საიალქნო სპორტისთვის ბაზის მშენებლობა.

# ციხე ისევ შიგნიდან გატყდა

## მოსკოვი აშკარა აუტსაიდერია

ამბობენ, ციხე შიგნიდან გატყდებაო.

და სწორედ ასე მოხდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემფასებელ კომისიაშიც, რომელიც 2012 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის სამასპინძლოდ მებრძოლი 5 ქალაქის: პარიზის, ლონდონის, მადრიდის, მოსკოვისა და ნიუ-იორკის შესაძლებლობებს სწავლობდა.

მართალია, კომისიის დასკვნები ამ ზაფხულს უნდა გახმაურებულიყო სოკ-ის 117-ე სესიამდე ერთი თვით ადრე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კომისიის ერთ-ერთმა წევრმა ანონიმურად პარიზში ჟურნალისტებს განუცხადა:

„არავითარი ეჭვი არ არის, რომ ხუთივე კანდიდატ ქალაქს შეუძლია ოლიმპიური თამაშების წარმატებით ორგანიზება, მაგრამ როცა კომისიის მოხსენებას ვკითხულობთ, ამ ქალაქთაგან ოთხი აშკარად უკეთ გამოიყურება, ვიდრე მეხუთე. ხოლო იმ ოთხიდან სამი აშკარად ლიდერობს მეოთხეზე".

იმავე ანონიმი წყაროს მიხედვით, მეხუთე ანუ ბოლო ადგილი უკავია მოსკოვს, ხოლო მადრიდი მეოთხეზეა.

შემფასებელმა კომისიამ გაზარდა ლონდონის შანსები, რომელიც აქამდე მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა პარიზსა და ნიუ-იორკს. ბრიტანეთის დედაქალაქმა პრეზენტაციაზე ყველაზე უკეთ წარმოადგინა ლონდონის შესაძლებლობები.

რაც შეეხება ნიუ-იორკს მისი შანსები დამოკიდებულია ოლიმპიური ბაზების მშენებლობის გადაწყვეტილების თაობაზე.

2012 წლის ოლიმპიური თამაშების ხელში ჩასაგდებად კანდიდატი ქალაქების ლიდერობასთან დაკავშირებით ატეხილმა ხმაურმა, რა თქმა უნდა, საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტ ჟაკ როგის ყურამდეც მიაღწია.

— ქალაქ კანდიდატთა ეს ბრძოლა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა ბოლო წლების განმავლობაში. ვფიქრობ, რომ ჯერ ნაადრევია იმაზე ფიქრი, რომ ერთ-ერთი ქალაქი ფავორიტი გახდა, ვილაცა კი აუტსაიდერია. ჩემი აზრით, ყველა ქალაქს გამარჯვების თანაბარი შანსი აქვს " — თქვა ჟაკ როგმა.

**ავთანდილ ტყვიშელი**

ჭადრაკი

## ამბერის ტურნირი

მონტე კარლო, მონაკო 19 – 31 მარტი

X ტური

| | | |
|---|---|---|
| ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) — ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 1:0 | 0:1 |
| ალექსეი შიროვი (ესპანეთი) — ევგენი ბარეევი (რუსეთი) | 0,5:0,5 | 0,5:0,5 |
| ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი) — პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0:1 | 0,5:0,5 |
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) — ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) | 1:0 | 0,5:0,5 |
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — პეტერ სვიდლერი (რუსეთი) | 0,5:0,5 | 0,5:0,5 |
| ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) — ბორის გელფანდი (ისრაელი) | 0,5:0,5 | 1:0 |

პირველად მოცემულია დაფაზეღაუხედავი პარტიის შედეგი

# რუსმა ინდოელს რეკორდი გაუჩერა



პეტერ ლეკო

ინდოელი ვიშვანათან ანანდი ტურნირის გამარჯვებული ორი ტურით ადრე გახდა. ამიტომაც მომდევნო შეხვედრებში გასარკვევი მხოლოდ ის იყო, შეძლებდა თუ არა იგი ჩვიდმეტზე მეტი ქულის დაგროვებას და 1994 წელს დამყარებული რეკორდის მოხსნას. შეგახსენებთ, რომ იმ წელს ინდუსმა ამდენი ქულით მოიგო ამბერი და მსგავსი შედეგი ჯერ არავის უჩვენებია. ანანდს წინ ძლიერი მეტოქეები ჰყავდა და ეს საქმე რომ გაუჭირდებოდა, აშკარა იყო. მეათე ტურში ანანდი უკვე ყოფილ მთავარ მეტოქეს, რუს პეტერ სვიდლერს დაეჯახა, ორი სწრაფი ყაიმი ეთამაშა და რეკორდის მოხსნა მომავლისთვის გადადო.

დაფაზედაუხედავ პარტიაში ინდოელმა და რუსმა სიცილიური პარტია გაითამაშეს. ანანდმა ცენტრში მხედრები გაიყვანა, უკან ლაზიერი მიუსვა და სვიდლერს შეუტია. რუსმა მის შეხამებულად გაცვლებს მიმართა, მეტოქეს რამდენიმე ფიგურა მოუკლა და მე-20 სვლაზე ყაიმით დაასრულა პარტია.

რუბინშტეინის ფრანგული ვარიანტი გაითამაშეს სწრაფ პარტიაში და ანანდი, როგორც სჩვევია, თავიდანვე აგრესიულად შეუტია მტერს. პურმარილით არც სვიდლერი შეგებებია მომხვდურს, დიდი წინააღმდეგობა გაუწია და 22-ე სვლაზე მორიგ ზავს დასჯერდა.

მეორე ადგილისთვის უკვე ორი დიდოსტატი აცხადებს პრეტენზიას. მე-10 ტურში ვალეხოსთან ნაყოჩაღარ ლეკოს 11,5 ქულა მოუგროვდა და მოროზევიჩს გვერდში ამოუდგა.

**ლაშა გეგეჭკორი**





დაფაზედაუხედავი პარტია მე-20 სვლაზე დასრულდა, სწრაფი კი 22-ზე

| | | |
|---|---|---|
| 1 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 7,5/7/14,5 |
| 2 | ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 5,5/6/11,5 |
| 3 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 5,5/6/11,5 |
| 4 | ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 5,5/5,5/11 |
| 5 | პეტერ სვიდლერი (რუსეთი) | 5,5/5,5/11 |
| 6 | ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) | 5,5/5/10,5 |
| 7 | ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 4/5,5/9,5 |

პირველად მოცემულია დაფაზედაუხედავი პარტიის შედეგი, მეორეზე სწრაფის

# პირველი ბრმა

ბრისბენელი ჯერარდ გოსენსი დაბადებიდან ბრმაა, ოლონდაც მაინც ალპინისტია. სწორედ გოსენსი იქნება ის ბრმა კაცი, ევერესტის დაპყრობას რომ შეეცდება შვიდკაციან გუნდთან ერთად.



AFP ბრისბენიდან



AFP დოჰადან

# მსოფლიოში უდიადესი

ეს იქნება მსოფლიოში უდიდესი ჭერიანი სტადიონი. იგი ყატარის დედაქალაქ დოჰაში შენდება ფრანგი არქიტექტორის როჯერ ტალაბერის პროექტის მიხედვით. ამისთვის უკვე მოზომილია 290 000 აკრი მიწა და პროექტში ყველაფერია, ფეხბურთის სტადიონიც, ოლიმპიური აუზიც, სატანვარჯიშო დარბაზებიც, კრივის დარბაზებიც, მაგიდის ჩოგბურთის ოთახებიც და თვით სქვოშის სათამაშო კედლებიც. ესეც პატარა და მდიდარი ყატარი.



AFP ტოკიოდან

# იაპონელთა მოლოდინი

ნახეთ, როგორი სერიოზულობით ელიან ნორჩი იაპონელები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს საიტამას სტადიონზე. ეს თამაში ბაჰრეინელთა წინააღმდეგ ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რახან გასულ შაბათს იაპონელებს თეირანში წაგოთ სპარსელებთან. ჰოდა, იაპონიამ დაამარცხა ბაჰრეინი, ჰოდა, ყველანი გაიცინებდნენ, როგორც ეს პატარა გოგო.



AFP ტოკიოდან



AFP დოჰადან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ონიანიძე, ალიკო ნაჭიბაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხოჭოლავა, ვაჟა ზურაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ასათიანი, ლევან კალაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი ქვთელაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოლხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge